წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 4 გიორგობისთვე 1916 წ. № 246

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რეზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი წლიურად ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პროვინციებში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

კვირას, 6 გიორგობისთვეს, დიდუბის ეკლესიაში, გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავზე, დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მგოსან

## იროდიონ ისაკის ძე ევდოშვილ-ხოსიტაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით იუწყება განსვენებულის ქვრივი მარიამ ხოსიტაშვილისა შვილებით.

კვირას, 6 გიორგობისთვეს, დილის 12 საათზე

## ახალ კლუბის საკონცერტო დარბაზში

## ი. პ. ვართაგავა

წაიკითხავს ლექციას ორ განყოფილებად:

## „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“

გარჩეულ იქნება შ. მღვიმელის ნაწერები, რაც ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში დაბეჭდილა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.
ბილეთების ფასები: ექვსი შაურიდან მანეთამდე.

## გორის

## სასოფლო-სამეურნეო საზ. წევრთა საყურადღებოთ

კვირას, 6 გიორგობისთვეს, დილის 10 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა

## არაჩვეულებრივი კრება

განსახილველია შემდეგი საკითხები:
1) კომერციული განყოფილების დაარსება გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან. 2) ახალი წევრების მიღება. 3) სამეურნეო ჟურნალის გამოცემა. 4) მიმდინარე საკითხები.
გორის სას.-სამ. საზოგადოების საბჭო.
(1—232—1)

## თბ. სახალხო უნივერსიტეტთან

არსებული ქართული სექცია ხსნის მოზრდილთათვის

## საღამოს სკოლას

ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ბოტეს სახლში, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 100. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ ყოველ-დღე საღამოს 5—7 საათამდის. სწავლის დაწყების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

## ქ. თბილისში დაარსდა

## მელნის ქარხანა

## „ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი ასლის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.
(თ.—228—თ.)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური სასმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით სიძ. ს. გიგიბერია.

„ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.
ევროპულის სასადილო
„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლობი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძალიან იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგად ამზადებს.
სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი
პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი დიმიტრი უხ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაული
(თ. 253)

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

## კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.
სახლი საიაფად აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

## საჭიროა მუშები

რკინის გზის სამუშაოთ
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მიხაილოვის ქ. № 109. ფოტოგრაფში.
(4-382-1)

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის საჰაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ღოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

## პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

# სათათბირო და სახელმწიფო

მას მერე, რაც ომი დაიწყო, კანონმდები დაწესებულებანი მეხუთედ იკრიბებიან; რუსეთის საშინაო და საგარეო საქმენი არც წინანდელი შეკრების დროს ყოფილა ისე ბედნიერი, მოთათბირეთ რომ მშვიდი და დინჯი მუშაობა შესძლებოდათ; მაგრამ დღევანდელი სახელმწიფო და საერთაშორისო მდგომარეობა ისეთ ნაირად გართულდა, რომ ლამის, მათგან დაბადებულ საკითხთა სიმძიმე რუსეთის ხალხის წარმომადგენელთა სუსტმა ბეჭებმა ვეღარც აიტანოს. სახელმწიფოს დასავლეთის ნაწილი კვლავ მტერს უპყრია, რუსეთის ყოფილი პოლონეთი იმავე მტერმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღადგინა და იქაურ მობილიზაციას ამზადებს, რათა პოლონეთის სამეფო რუსეთის იმპერიას დაატაკოს... იგივე მტერი ყოველნაირ საშუალებას ხმარობს მოკავშირეთა ერთობის დასამსხვრევად და, განსაკუთრებით, ინგლისისა და რუსეთის წაჰკიდებლად და ცალკედ, სეპარატიულ ზავის ჩამოსაგდებად... შინ, რაც დრო გადის, ხალხის გამოკვების საკითხი თან და თან უფრო მწვავდება და შიმშილის ლანდით აშინებს... მთავრობა და საზოგადოება კი, ვერ იქმნა, ვერ შეთანხმებულან ერთად სამოქმედოთ; როგორც საშუალო საუკუნეს სახელმწიფოს დამპყრობელი და დაპყრობილი წოდებანი, ისე გათიშულან და უნდობლად შეჰყურებენ ერთი-მეორეს: პირველნი ქედმაღლობით და გულზვიადობით, მეორენი კიდევ—სიძულვილით... ევროპის სახელმწიფოებში კანონმდები დაწესებულებათა განახლებისას მთავრობა თავის თავს მოვალედ რაცხს დასაბუთებული სახელმძღვანელო, საპროგრამო სიტყვით წარუდგეს ხალხის წარმომადგენელთ და შინ და გარედ: ბრძოლის ველისა, სახელმწიფო და საერთაშორისო საქმეთა ვითარება გაანათოს... რუსეთში კი ხალხის წარმომადგენელთ მთავრობა ცივის დუმილით ეგებება... საშინაო მინისტრი პროტოპოპოვი, მისალმების მაგიერ, კრების გახსნისთანავე, სათათბიროს წევრობაზე უარს აცხადებს, ვინაიდან რუსეთში ამ ორი წოდების შეგუება ჯერ კიდევ შეუწყნარებელი ყოფილა... მოთათბირეთ და მათს თავმჯდომარეს, როძიანკოს, ის-ღა დარჩენიათ—მთავრობას გაცვეთილი სიტყვებით აყვედრონ... სათათბიროს უყურადღებლობა და უანგარიშობა მთავრობამ იქამდის აიყვანა, რომ ძირითად კანონთა 87 მუხლის ხშირი მოხმარებით, ლამის, მის განკარგულებისა და ჩვეულებრივ კანონმდებლობის შუა განსხვავებაც კი მოსპოს... საზოგადოების უკმაყოფილება თანდათან მატულობს, მაგრამ მარტო ეს, საქმეს ვერა ჰშველის.., სახელმწიფოსა, მთავრობის და საზოგადოების დაწესებულებათა წესიერი განწყობილება კანონმდებლობით, კონსტიტუციურ ცვლილებას ითხოვს, როგორც არჩევანის, ისე მინისტრთა უფლებრივს, იურიდიულ მდგომარეობის შესწორებით... მაგრამ ამისათვის ერთად-ერთი საჭირო ძალა—მთელი საზოგადოების მაღალი პოლიტიკური შეგნება ჯერ არ არის და არც ისე მალე შეიქნება, თუ, ნიკო ნიკოლაძის არ იყოს, ამას არ მიეშველა რეფორმებისათვის მოუმწიფებელ ერთათვის უებარი წამალი—ახალი სებასტოპოლი... თვით სათათბიროს პარტიული შემადგენლობა მნიშვნელოვან უფლებრივ განახლებისაკენ ნაბიჯების გადადგომას შეუძლებლად ჰქმნის... სათათბიროში 185 მემარჯვენეა, კონსერვატორი; 99 ალაგი შუაგულის, ცენტრის „ოქტომბრელთა“ ხელშია და 151—იც მემარცხენეთა, ოპოზიციას ეკუთვნის... „კადეტების“ პარტიის მეოხებით მემარცხენენი და შუაგული დასები საერთოდ მოქმედებისათვის ვითომც შესთანხმდნენ, ეგრედ წოდებული „პროგრესიული ბლოკი“ დაარსეს და თავიანთი მოთხოვნილებათა სახელმძღვანელო, საპროგრამო სიაც გამოაცხადეს, რომელშიაც მთავარი ალაგი საქალაქო და საერობო კანონის შეცვლას მიანიჭეს; მაგრამ „საპროგრესო ბლოკი“ უდროოდ დაბადებული და დღენაკლული რომ იყო, ეს მთავრობამ თავიდანვე დაინახა და როცა წარდგენილ ანგარიშების გასტუმრების მაგიერ, გაზაფხულზედ სათათბირო დაითხოვა, მაშინ „ბლოკის“ გაბერილი ძლიერებაც მოიშალა... მაგრამ ნამდვილი დღენაკლულობა „ბლოკისა“ სწორედ დღეს გვემცნო, სათათბიროს ხელახალი შეკრების დროს, როდესაც „საპროგრესო ბლოკს“ სწორედ პროგრესისტთა პარტია გამოეცალა; მათ მეთაურს ეფრემოვს განუცხადებია: „არ გვჯერა, რომ ბლოკს რუსეთის წინაშე მდგომი საკითხების გადაწყვეტისათვის ბრძოლა შეეძლოს“... 70 პროგრესისტის გამოკლება საბოლოოდ ასუსტებს ბლოკს და ყოველივე იმედსაც სპობს იმის ნაყოფიერებისას... შტიურმერის და პროტოპოპოვის სამინისტროს ამიერიდან კიდევ უფრო ეხსნება ხელი სათათბიროსთან ბრძოლაში; და, რასაკვირველია, თუ ისინი არ დააყოვნებენ ამ ხელგაშლილობით სარგებლობას და, სათათბიროთი თუ უსათათბიროთ, რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკას მათთვის სანუკვარ დასკვნამდე მიიყვანენ.

გრ. ვეშაპელი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუმინეთის მდგომარეობა დღითი დღე მწვავდება. გენ. ფალკენჰაინს მაშველი ჯარები მოსვლია და სამივე მთავარ მიმართულებით გაძლიერებული უტევს. ბრძოლის პირი ახლა უკვე მთის წვერვალებს გადმოსცილდა, ალაგ-ალაგ ველშიაც კი გადავიდა და რუმინელები თავგანწირულად, რაც კი შეუძლიათ უკანასკნელ ფერდობებს, ღა იცავენ. გუშინდელ ოფიციალი დეპეშის გადმოცემით რუმინელებს მდ. ტირაულიზე, ალიუტაზე და ჟაუზე უკან დაუხევიათ. ფალკენჰაინის ასეთი აქტიური მოქმედება შეიძლება მაკენზენის ახალი მანევრითაც იყოს გამოწვეული. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ მთავარი საფრთხე რუმინელებს სწორედ ამ სახელოვან სარდლისგან ელით. მხოლოდ დობრუჯის დაპყრობა და ამ რიგად შავის ზღვის მოწყვეტა არასოდეს არ ექნებოდა მიზნად მაკენზენს. მისი განზრახვა უფრო თავხედი, უფრო რთული და პასუხმგებელი იქნებოდა აუცილებლივ. მკითხველებს ალბათ ეხსომებათ, რომ მაკენზენმა კარგა ხანია რაც ჩერნოვოდის ხიდი იგდო ხელში. კერძო დეპეშათა ცნობით, თურმე რუმინელებს არ აუფეთქებიათ ეს უშველებელი ხიდი და თავიანთ შეცდომით დიდი სამსახური გაუწევიათ მოპირდაპირე სარდლისათვის. როცა კი ერთ ფეხს მოიკიდებდნენ გერმანელები და ბულგარელები მდინარე დუნაის მარცხენა ნაპირზე, უეჭველია ადვილად აღარ დასთმობენ აღებულ ალაგებს და სწრაფად შეეცდებიან ოპერაციის გაფართოებას და გაღრმავებას. მართალია, რუმინელებმა ერთხანად შესძლეს გადასული ბულგარელების ხიდის ყურამდე მირეკა, მაგრამ მას შემდეგ, აგერ უკვე ხუთი დღეა, აღარავითარი ცნობა არ მოსულა და ჩვენ ვფიქრობთ, მაკენზენმა დროზე მიაშველა ჯარი და ხიდს მკვიდრად დაეპატრონა. რაკი ეს მოხდებოდა, მაშინ ჯარების გადაყვანას წინ ვეღარავინ გადაეღობებოდა. მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე დაწყებული ოპერაცია რუმინელებს მეტს დიდს საფრთხეს უმზადებს. ჯერ ერთი მთელი მათი მთავარი ძალები ფალკენჰაინსა ჰყავს დაბანდებული. უშველებელ ბრძოლის ხაზზე მოკავშირე იძულებული იყო, ისედაც მცირე რიცხოვანი ჯარები იქითკენ მიერეკა და შესაფერისად გაენაწილებინა, საიდანაც მას უპირველესად ელოდა მტრის შემოსევა. ეს იყო ავსტრია. დობრუჯიდან რუმინეთი ასე თუ ისე უზრუნველ ყოფილი იყო მანამდის, სანამ ჩერნოვოდ-კონსტანციის ხაზი მათ ხელში იყო. მეორე კიდევ მაკენზენი, თუ კი შესძლებს აქაც ისეთი ნაბიჯით წინ სვლას, როგორც დობრუჯში, რკინის გზებს ადვილად გადასჭრის და ჩრდილო-დასავლეთით მომქმედ რუმინეთის ჯარს სრულებით მოსწყვეტს რუსეთიდან და გარს შემოერტყმება. სწორედ ეს გარემოება ერთგვარ გავლენას ახდენს რუმინელებზე და იგინიც ალბათ ჩრდილო-დასავლეთის ბრძოლის ველიდან მაშველი ჯარები გადაჰყავთ მაკენზენის წინააღმდეგ. მართალია, დეპეშა გადმოგვცემს — ფალკენჰაინს ახალი ჯარები მოუვიდაო, მაგრამ ჩვენ გვგონია, გერმანეთი მაინც და მაინც საგრძნობელ ძალას ვერ მიაშველებდა, რადგან ჯერ ერთი არ ჰყავს იმდენად დიდი რეზერვი, მეორე კიდევ დასავლეთ ბრძოლის ველზე მდგომარეობა ისე რთულდება, რომ ჯარების მოშორებას იქიდან ვერ გაჰბედავს.

საზოგადოთ რუმინეთის მდგომარეობა ისეთი საშიში შეიქმნა, რომ ვეღარც გენ. სარაილი უშველის რასმეს სალონიკიდან. ხსნა და შველა ახლა მხოლოდ-ღა რუსეთის ხელშია. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ძალიან მალე რუსეთის სამხედრო შტაბი შესაფერ პასუხს გასცემს გათამამებულ მოპირდაპირეს.

კავკასიის ბრძოლის ველზე გიუმიშხანის დასავლეთით ოსმალეთს განუზრახავს შეტევის დაწყება, მაგრამ რუსებს მაშინვე შეუჩერებიათ.

X.

## ომის დეპეშები

3 გიორგობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სოფ. ლიპიცა დოლნაიას აღმოსავლეთის მაღლობებზე ჩვენმა ჯარმა შეუტია და სოფ. სლავენტინის გზის ორივე მხარეს მდებარე სანგრები მტერს დაატოვებინა. აქ ხელთ იგდო ტყვეები და 2 ტყვიის მფრქვეველი. მოპირდაპირის შემოტევამ უნაყოფოდ ჩაიარა.

**კავკასიის ასპარეზი.** გიუმიშხანის ჩრდილო-დასავლეთით, ტორნიკის მხრიდან, მო-ეჯი-სურგოლიკის მიდამოში (ყიცის სამხრეთითაა) სოფ. შარაფხანისა და მუშის მიმართულებით ოსმალების პატარა რაზმებით შემოტევა სროლით მოვიგერიეთ და მტერი უკანვე გავაბრუნეთ.

**რუმინეთი.** ტრანსილვანიაში, ოიტუზის ველის ჩრდილოეთით და სამხრეთით რუმინელებმა მოპირდაპირე უკუაგდეს, ხელთ იგდეს ტყვეები და 3 ტყვიისმფრქვეველი. მდ. ტირიულის, ალიუტის და ჟიუს ველებში მტრის ცხარეიერიშები გრძელდება. ახლად მოსულ გერმანელთა მაშველ ჯარით გაძლიერებულმა მოპირდაპირემ ამ ველებში რუმინელების ჯარს უკან დაახევინა. დობრუჯში არსებითი არაფერი მომხდარა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. შეკითხვის პასუხად სესსილმა განაცხადა: მოკავშირეებმა ახალ საბერძნეთში ვენიზელოსის მთავრობა აღიარეს, ხოლო ძველი საბერძნეთის კუნძულებზე ათინის მთავრობა. სენტი შეეკითხა: განა ეს ორი მთავრობის აღიარებას არ უდრისო? სესსილმა უპასუხა: ჯერ არ გამიგია, რომ ვენიზელოსი მეფის მთავრობას ჩამოშორებოდესო.

**ტოკიო.** იაპონიის ზღვაში აფეთქებისაგან დაიღუპა ერთი წყალქვეშა. 2 იმსხვერპლა, 16 დაჭრილია.

**ლონდონი.** ოფ. ცნობა. საფრანგეთში ჩვენმა ჯარმა იერიშით აიღო ძალიან გამაგრებული სოფელი ბომონიდა, ბრძოლის ხაზი ანკრზე მდებარე ბოკურის გარეუბნამდე წასწია. ბრძოლა გრძელდება.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. სომას სამხრეთით, აბლენკურ-პრესუარის მიდამოებში ორი დღის განმავლობაში წარმოებული ზარბაზნების სროლა უკიდურეს წერტილამდე მივიდა. დღეს დილით გერმანელებმა შემოგვიტიეს აბლენკურის შაქრის ქარხნისა და შენს შუა; იხმარეს მდუღარე სითხე, ქიმიური ყუმბარებიც, რომელიც ცრემლს იწვევს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. ამ ადგილის სამხრეთით, პრესუარის აღმოსავლეთით, გერმანელებმა რამდენიმე სახლი აიღეს.

**ლონდონი.** საადმირალო იტყობინება: 30 ღვინობისთვეს საზღვაო საფრენთა ესკადრა თავს დაესხა ოსტენდეს და საზღვაო სახელოსნოებს შენობებს ყუმბარები დაუშინა.

**ლონდონი.** თემთა პალატა. შეკითხვის პასუხად ბონარ ლოუმ განაცხადა: არა მგონია გერმანეთის კანცლერმა ისეთი ზავის პირობები წამოაყენოს, რომელიც გერმანეთის გამარჯვებაზე იყოს დამყარებული (მოწონება). ზავის პირობებზე მოლაპარაკება, თემთა პალატის დიდი უმრავლესობის აზრით, უნაყოფოა, თუმცა მთავრობას განზრახვა აქვს პალატის საიდუმლო სხდომა დანიშნოს.

**პეკინი.** ჩინეთის დავალებით ინგლისის დესპანმა, რუსეთისა და იაპონიის სახელით, ტიანცინის ინციდენტის გამო შუაკაცობა იკისრა. მოლაპარაკებამ რამდენიმე დღეს გასტანა, მაგრამ რადგანაც ჩინეთი ვერ დაითანხმეს, შუაკაცობაზე უარი განაცხადა.

**საფრანგეთის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს.**

რადგანაც ჩინეთის გაზეთებში ცხარე წერილები იბეჭდება უცხოეთის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, რუსეთის დესპანის თაოსნობით, მეგობარ და მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ჩინეთის მთავრობას პროტესტი განუცხადეს და მოსთხოვეს, რომ ასეთი წერილების ბეჭდვა მოისპოს.

**ოდესა.** რუმინეთიდან მიღებული ცნობით, ოსმალეთში გამართული კრუპის ქარხნის განყოფილება ბულგარეთში გადააქვთ. სტამბოლიდან სოფიისაკენ მატარებლით ეზიდებიან დაშლილ მანქანებს. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ოსმალეთში არც საკმაო მუშა ხელი მოიპოვება, არც მასალები, და ქარხანა ბრძოლის ახალ ასპარეზზედაც ახლოს იქნებაო.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: ბერლინსა და ვენაში მყოფ დესპანთა ხელით ოსმალეთმა შემდეგი განცხადება გადასცა: „რადგანაც 1856 წ. 30 მარტში დადებული პარიზის ხელშეკრულობა და 1878 წ. 3 მარიამობისთვეს დადებული ბერლინის ხელშეკრულობა, ზოგიერთმა ამ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერმა სახელმწიფომ დაარღვია, ოსმალეთის მთავრობა თავის მხრივაც ამ ხელშეკრულებას გაუქმებულად თვლის.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. პრახოვის ველში ზარბაზნების ცხარე სროლაა მდ. ჩას დასავლეთით. მდ. ალიუტას ველში, მდინარის მარცხენა ნაპირას, მტერმა რიგეულეა-რაეინეშტის ხაზის სამხრეთით დაგვახევინა. ჟიუს ველში მტერი კვლავ მედგრად გვიტევს. ასეთივე ცხარე ბრძოლაა ორშოვასთან, მდ. ჩერნის მარჯვენა ნაპირას.

**ბუქარესტი.** რუმინ. ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. მოლდავიის დასავლეთით ტროტუსის და უზულას ველებში მტრის ზარბაზნები ჩავაჩუმეთ. ოიტუზის ველისა და კაზინის შუა მტერმა ორჯერ შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ. ხელთ ვიგდეთ 2 აფიცერი, 81 ჯარისკაცი, 3 ტყვიისმფრქვეველი და სამხარი მასალა. პრახოვის ველში გაცხარებული სროლაა ზარბაზნებისა. დრაგოსლავლის მიდამოებში მოპირდაპირის ქვეითა ჯარმა, მძიმე ზარბაზნების დახმარებით, ჩვენი მარჯხენა ფრთის ჯარი უკან დაწია. ალიუტას მარცხენა ნაპირას მოპირდაპირეს თავგანწირული იერიშები მოაქვს. აქ ბრძოლის ასპარეზი ხელიდან ხელში გადადის. მდ. ჟიუს ველში, ახალი ჯარით გაძლიერებული მტერი ჩვენზე ძლიერის ჯარით გვაწვება. ცხარე ბრძოლის შემდეგ აქ ჩვენი ჯარი იძულებული გახდა ჩუმბეშტის სამხრეთით დაეხია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### რუმინეთი.

**ბრძოლა ჩერნოვოდის ხიდთან.**

როგორც ამ რამდენიმე დღის წინად მთავარსარდლის დეპეშამ გადმოგვცა რუმინელებისა და რუსების ჯარმა აიღო სადგური დუნარეა. ეს სადგური მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ჩერნოვოდის გაღმა, სამ ვერსის მანძილზე. ამ სადგურის აღების შემდეგ სცდილობენ ჩერნოვოდის ხიდიც ხელში ჩაიგდონ. წინად, როდესაც მაკენზენმა ჩერნოვოდი აიღო, იტყობინებოდნენ, ჩერნოვოდის ხიდი რუმინელებმა ააფეთქესო, თუმცა ეს მთავრობის ცნობა არ იყო. როგორც ეხლა აღმოჩნდა, რუმინელებს უკან დახევის დროს, ალბად, დაენანათ ამ ხიდის აფეთქება და მცირეოდნათ თუ დააზიანეს, თორემ მის აღდგენას ასე მალე გერმანელები ვერ შესძლებდნენ. რაკი ბრძოლა ამ ხიდის ხელში ჩასაგდებად სწარმოებს მდ. დუნაის მარცხენა კიდეზე, სჩანს ბულგარელებს მოუხერხებიათ დუნაის გაღმა გასვლა. ეხლა ბრძოლა ამ ხიდის ყურთანაა გაჩაღებული.

### რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება

**სერ-ჯორჯ ბიუკანენის სიტყვა.**

ინგლისის მენავეთა საზოგადოების კრებაზე ინგლისის დესპანმა სერ ჯორჯ ბიუკანენმა საგულისხმო სიტყვა წარმოსთქვა. იგი შეეხო რუსეთ-ინგლისის კავშირს და საბოლოო გამარჯვებას. მან, სხვათა შორის, განაცხადა: ცბიერი მტერი უპირველესად ჩვენსავე ქვეყნებში უნდა დამარცხდეს. გერმანეთს ჰყავს მეგობრები ორივ ჩვენს სახელმწიფოში; რუსეთში მისი აგენტები განსაკუთრებით სცდილობენ შუღლი დაჰბადონ რუსეთ-ინგლისს შორის.

ბაუკანენის აზრით რუსეთი გამარჯვების შემდეგ გულუხვად აინაზღაურებს თავის ზარალს, მას ერგება სტამბოლი და სრუტეები.

რუსეთის მოწინავე ნაწილი დიდი ხანია ებრძვის მტრის ვერაგულს პოლიტიკას. რუსეთის ფართე საზოგადოება არავითარ ფასს არ აძლევს იმ ჭორებს, ვითომც ინგლისი ოცნებობდეს რუსეთის დაჩიავება-დაჩაგვრას, რუსეთის ბაზრების და სამრეწველოების ხელში ჩაგდებას, ვითომც ინგლისი რუსეთს თეთრ კბილს აჩვენებს და შავს გულს, ზურგთ უკან კი მისთვის დიდი ქვა უჭირავს. ასეთ ჭორებს იმისთვის კი არ ექცევა რუსეთის საზოგადოება გულგრილად, რომ ინგლისის თავზე წამოსმა მისთვის უფრო სასიამოვნო და ასატანია, ვიდრე გერმანელებისა, არამედ იმისთვის, რომ სწამთ თავისი ქვეყნის ეროვნული ღირსება, რომელიც ვერაოდეს ვერ აიტანს სხვისა უღელს. ინგლისის ბატონობაზე ლაპარაკი მეტია არა იმისათვის, რომ ინგლისი კეთილშობილი და რუსეთის ერთგული ქვეყანა, არამედ იმისათვის, რომ რუსეთი ასეთს ბატონობას ვერ აიტანს.

### პოლონეთის სამეფო.

„ნოვ. ვრემ." ეხება პოლონეთის სამეფოს აღდგენას და იმ საკითხს არკვევს, აქვთ თუ არა გერმანელებს უფლება პოლონეთიდან ჯარის კაცები გაიყვანონ.

„ჰააგის ხელშეკრულობით, რომელზედაც გერმანეთსა და რუსეთს ხელი უწერიათ, გადაჭრით იკრძალება დროებით დაპყრობილ ქვეყნიდან ჯარის კაცების გაყვანა. 1899 წელს ჰააგის კონფერენციის 44-ზე მუხლში ნათქვამია: „აკრძალულია, დაპყრობილ ოლქის მოსახლეობის იძულებითი გაყვანა ჯარში მონაწილეობის მისაღებად".

შეიძლება მოპირდაპირემ სთქვას: მე აკრძალული მაქვს პოლონეთიდან მთელი მოსახლეობის ჯარში გაწვევა, მაგრამ ვერავინ დამიშლის, რომ პოლონეთის მოსახლეობიდან გერმანელთა დამხმარე ჯარი შევადგინოვო.

1907 წლის ჰააგის კონფერენციის დადგენილებათა 23-მე მუხლში ნათქვამია: მეომარ მხარეს ეკრძალება ძალა დაატანოს მოპირდაპირის ქვეყნის ქვეშევრდომთ სამხარ მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად თავისი ქვეყნის წინააღმდეგ, თუნდაც ისინი ომის დაწყებამდე სამსახურში ირიცხებოდნენო.

ეს ორივე დადგენილება ჰააგის კონფერენციისა ნათელ ჰყოფს, რომ პოლონეთში ჯარისკაცთა გაყვანა უაღრესი უკანონობაა. მაგრამ უბირ ადამიანს აფრთხობს სიტყვა „დამოუკიდებელი პოლონეთის" და ასე ფიქრობს: თუ კი პოლონეთი დამოუკიდებელი სამეფოა, რატომ დამოუკიდებელი ჯარიც არ უნდა ჰყავდესო...

რა თქმა უნდა პოლონეთს შეეძლო თავისი თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა. ეს მისი საქმეა და მისი უფლება, თუმცა მხოლოდ ასეთი განცხადება პოლონეთისა ვერ შესცვლიდა რუსეთის უფლებებს. იურიდიულად, პოლონეთის მკვიდრთა მიმართ რუსეთის უფლებებს რუსეთს მისსავე ნებადაურთველად ვერავინ ჩამოართმევს. ეს კი იმას ჰნიშნავს, რომ რუსეთი პოლონეთის ჯარს ვერ მოექცევა ისე, როგორც მეომარ სახელმწიფოს ჯარს. არამედ მოექცევა ისე, როგორც მოღალატეთა ბრბოს, რომელთაც ქვეშევრდომის ერთგულებას უღალატეს, ფიცი გასტეხეს და თავისი ქვეყნის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა გაუმართეს. არა გვგონია, რომ რუსეთის მთავრობა ასეთს გზას დაადგეს, მაგრამ გერმანელები კი დიდს ხაფანგს უმზადებენ მთელ პოლონეთის ერს.

**პოლონეთის ჯარი.**

„ბირჟ. ვედომ."-ის სამხედრო მიმომხილველის აზრით, რადგანაც პოლონეთიდან ჯარში გასაყვანად გამოსადეგი ახალგაზდობა ბევრი წინდაწინვე გაერიდა, ეხლა გერმანელებს მხოლოდ 1 მილიონი ჯარის შედგენა თუ შეუძლიანთ. შესაძლებელი კი იყო 2 მილიონის გაყვანა.

პოლონეთის ჯარი იხსენიება 1817 წელს. ეს ჯარი გაუქმდა 1830 წელს. ამაზე უფრო ადრე ნაპოლეონის დროს იყო შემდგარი პოლონეთის ჯარი, მერე დირექტორიის დროსაც. 1914 წელს პოლონეთის სამეფოს ჯარი 30 ათას მეომარს შეიცავდა. 1817 წელს პოლონეთის ჯარში იყო 2 ქვეითა კორპუსი, გვარდიელთა ცხენოსანი დივიზიით, ქვეითა და ცხენოსანი არტილერიით და ცხენოსანთა კორპუსით. იარაღი რუსეთის იარაღისთანა ჰქონდათ, ჩაცმულობა ნაპოლეონის მეომრებისთანა. ჯარში რუსული ენა იყო გაბატონებული.

1807 წელს ნაპოლეონმა შეადგინა პოლონელთა არმია ვარშავის საჰერცოგოსათვის, რომელშიაც 50 ათასი მეომარი ირიცხებოდა. 1812 წელს ნაპოლეონმა ეს ჯარი 120 ათას მეომრად აქცია.

ნაპოლეონის ომების დროს პოლონეთის ჯარმა დიდი ღირსება გამოიჩინა ლაიპციგის ბრძოლის დროს, პოლონელთაგან შემდგარი პოლკი იოსებ პონიატოვსკის სარდლობით თავგანწირვით იბრძოდა ნაპოლეონის უკანასკნელ ჯარის დასაფარად და თითქმის მთლად გასწყდა.

ახლანდელ პოლონეთის ლეგიონებს, რომლებიც ავსტრიის რაზმებში იბრძვიან, ჯერ არაფრით უსახელებიათ თავი. ასეთი პოლკი 9 იყო. ამათ გარდა ჰყავთ ულანთა პოლკები, რომლებიც უმთავრესად პოლონელებისა და რუსინებისაგანაა შემდგარი.

შუმსკის აზრით პოლონეთის ჯარში, რომელსაც ახლა შეადგენენ გერმანელები, პოლონური ენა ვერ გაბატონდება, განკარგულებათა მიცემის დროს, რადგანაც პოლონელებს საკმაო აფიცრობა არა ჰყავთ. ასეთ ენად ისევ გერმანული იქნება, თუნდა პოლონელთა კორპუსები შესდგეს. პოლონელები მხოლოდ უბრალო ჯარისკაცებად თუ გამოადგებათ გერმანელებსაო.

**რეიხსტაგის პოლონელი დეპუტატები.**

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი იტყობინება, რაიხსტაგის პოლონელი დეპუტატები ერიდებიან საჯაროთ თავისი აზრის გამოთქმას პოლონეთის სამეფოს აღდგენის თაობაზე, თუმცა ეს აქტი პოლონეთის საქმის გამარჯვებათ მიაჩნიათ, თუ კი იგი სინამდვილეში ხორცს შეისხამს და მტკნარ ოცნებათ არ დარჩება.

**საქალაქო არჩევნები**

„ფოსიშე ცაიტუნგ"-ის ცნობებით, გერმანელებს მიერ დაპყრობილ პოლონეთის იმ ქალაქებში, რომელთა მცხოვრებნი 2000 აღემატა, საქალაქო არჩევნები მოხდა იმავე წესით, როგორც ვარშავაში საარჩევნო უფლება სოფლებსაც მიენიჭათ.

**გერმანელ სოციალისტების აზრი**

„ფორვერც" სწერს: გერმანელი სოციალისტები მუდამ იყვნენ და იქნებიან ელზას-ლორენის გაგერმანელების მომხრენი. იგინი ამასვე სცდილობენ პოლონეთსა, ჩეხიასა და გალიციაში.

**უნგრელებისა და პოლონელების მეგობრობა**

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის ვენელი თანამშრომელი სწერს: უნგრელ-პოლონელთა გულითადი მეგობრობა 1848 წლის ომის დროს ბრძოლის ველზე გაიჭედა, როდესაც უნგრეთი თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდაო.

**გრაფ ანდრაშის აზრი**

უნგრელ დამოუკიდებელ პარტიის ბელადს ანდრაშის,—„ნოვ ფრეიე პრეს"-ის სიტყვით,—განუცხადებია: ომის დაწყებიდანვე პოლონეთის დამოუკიდებლობას ვცდილობდით. ეს არის რეაბილიტაცია ცენტრალ სახელმწიფოებისა ისტორიის წინაშე. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ამ აქტის განსახორციელებლად ცენტრალ სახელმწიფოთა მიერ მიღებულ ზომებში ცოტა რამ პასუხისმგებლობა მეც მედება. მეორე სესიის დროს გაგიზიარებთ ჩემს აზრს, თუ პოლონეთის საკითხის გადაწყვეტას რამდენად შეეფერება ეს აქტი და რამდენად აკმაყოფილებს ორთავ სახელმწიფოს და პოლონეთის ინტერესებს.

**სტოკჰოლმის პოლონელნი**

სტოკჰოლმში 100 ათასზე მეტი პოლონელი ყოფილა. პოლონეთის სამეფოს აღდგენის ამბავი რომ შეუტყვიათ, დუმილით ჩაუტარებიათ.

**პოლონელთა კლუბები**

ციურიხიდან იტყობინებიან, რეიხსტაგისა და პრუსიის ლანდტაგის პოლონელმა კლუბებმა დაადგინეს: დუმილით შეხვდნენ პოლონეთის აღდგენის აქტის გამოცხადებას.

## უკანასკნელი ცნობები

**ცეცხლი ტრანსპორტ „ათონზე".**

შავის ზღვის სატრანსპორტო ფლოტილიის გემზე „ათონზე" ცეცხლი გაჩენილა.

**გუჩკოვის დაჭერა.**

მოსკოვში ხმა გავრცელდა, ა. ი. გუჩკოვი, ამჟამად კისლოვოდსკში საექიმოდ მყოფი, დაიჭირესო. მისნი მახლობელნი კი ამ ხმას უარყოფენ.

**ბალტიის პორტზე თავდასხმა.**

ახლახან ბალტიის პორტს რომ დაესხნენ გერმანელნი, აზრადა ჰქონიათ განემეორებინათ ახეთივე თავდასხმა, როგორც 1904 წ. იაპონელთ მოახდინეს პორტ-არტურში.

---

მთავრობამ აკრძალა რუსეთში ფუფუნების საქონლის შემოტანა.

## ახალი ამბავი

### სასახლეში

**დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის ძე** ბრძოლის ველიდან დაბრუნდა თვისის ამალით.

**მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა მათ უმაღლესობის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე თ. დ. ვ. ნ. ორლოვი პეტროგრადიდან დაბრუნების შემდეგ და სახელმწიფო ბანკის ინსპექტორი ი. ფ. ბოტარევიჩი.

**დიდი მთავარი რომან პეტრეს** ძე გუმბრიდან დაბრუნდა.

**დიდ მთავარ პეტრე ნიკოლოზის ძეს** სადარბაზოდ წარუდგა კაპიტანი ქლენტი.

**საქართველოს ეგზარხოსმა** ინახულა მათი უმაღლესობანი მეფის ნაცვალი მეუღლით, დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლითა და შვილებით.

**მეფის ნაცვალი** უმაღლესი ოჯახით გუშინ მეფის ბანაკში გაემგზავრა.

### ქართული დაწესებულებანი.

**საპრემიო თხზულებანი.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში 6 საპრემიო თხზულებაა წარდგენილი. პრემიად გადადებულია ნ. ღოღობერიძის შემოწირული თანხიდან 300 მან. და თავ. გრ. დადიანის სახელობის თანხიდან 400 მან. წიგნების გასინჯვა და შეფასება მინდობილი ჰქონდა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისაგან 2 საგანგებო კომისას. ამ კომისიებმა თავიანთი მუშაობა დაამთავრეს და შეერთებული კრება ექნებათ დღეს, 4 გიორგობისთვეს. შეერთებული კრების მიერ მოწონებული თხზულებანი და კრების დასკვნა საზოგადოების გამგეობას წარედგინება განსახილველად.

**საზოგადო კრება.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია 27 გიორგობისთვისათვის.

**ქართული სეზონი.** ქართულ დრამატიულ დასის სეზონი დაიწყობა ხარფუხის კლუბში ხვალ, 5 გიორგობისთვეს. წარმოდგენილი იქნება პიესა „მორევში".

**ქართ. საქვ. საზ. გამგეობამ** მათ უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულისაგან მიიღო ცნობა, რომ ვინაიდან კომიტეტი შეუდგა 1917 წლ. პირველ სამი თვის ხარჯთაღრიცხვის შედგენას, სთხოვს მთავარ გამგეობას არა უგვიანეს მიმდინარე თვის 20 გიორგობისთვისა წარმოუდგინოს კომიტეტს დაწვრილებითი ცნობები და მოსაზრებანი ამ დროისთვის საჭირო ხარჯების რაოდენობისა ამ ხარჯთაღრიცხვაში შესატანად. ეს ცნობები უნდა დაიყოს ნაწილ-ნაწილ. ყველა ჯამი ხარჯთაღრიცხვისა ცალკე უნდა იქმნეს ნაჩვენები და დაწვრილებით მოხსენებული როგორც შესანახ დაწესებულებათა სია, ისე ამ დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვთა და ლტოლვილთა შესანახ ხარჯებისა. კომიტეტი ამასთანავე აფრთხილებს გამგეობას ახალ ხარჯების ჩვენებას, პირიქით ენერგიულადა სთხოვს, ხელმოჭერით ხარჯოს ეს თანხები, სმეტა შეამციროს და უფრო კი შემოწირულებათა საქმე გააფართოვოს.

**ანგარიშის მოთხოვნა.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ მოსთხოვა ყველა რაიონულ განყოფილებებს, დაუყოვნებლივ წარმოუდგინონ ანგარიშები იმ ფულისა, რომელიც ობოლენსკის თანხიდან გაეგზავნათ მათ მეომართა ოჯახების დასახმარებლად.

**ს. თოკის მასწავლებელი** ქ-ნი კირკველია დღემდის არ გამოცხადებულა სამსახურში. საქვ. საზ. გამგეობამ სწრაფ აცნობა ქუთაისის რაიონულ განყოფილებას გამოარკვიოს მიზეზი კვირკველიას გამოუცხადებლობისა.

### მთავრობის დაწესებულებანი

**საერობო და ქალაქთა კავშირის მოქმედება.** ორი წლის განმავლობაში მიმდინარე წლის 1 ენკენისთვემდის ამ დაწესებულებათ შემოსვლიათ: საერობო კავშირს 4888332 მან. 40 კაპ. ფონდში და 1823668 მ. 12 კ. შემოწირულება სულ 6712000 მ. 52 კაპ.; ქალაქთა კავშირს—ფონდში 1450431 მ. 55 კ., შემოწირულება 1200554 მ. 67 კ. სულ კი 2650986 მ. 22 კ. ამნაირ პირობებში მყოფ კავშირთ პირველსავე თვეს დღიდან დაარსებისა დასჭირდათ დახმარება სახელმწიფო ხაზინიდან. მთავრობის დახმარება გამოიხატა შემდეგ ციფრებში: საერობო კავშირს მიეცა 33059290 მ. ხოლო ქალაქთა კავშირს 130408064 მ. გარდა ამისა მოსკოვისა და პეტროგრადის გამგეობათ, რომელნიც ამ კავშირებში შედიან და თავის საკუთარი კასა აქვთ მიეცათ პირველს 32651250 მ., ხოლო მეორეს 60041225 მან. ამნაირად საერთო ჯამი მთავრობის თანხისა, რომელიც მიეცა ამ კავშირებს, უდრის 553459829 მანეთს.

**სიძვირესთან ბრძოლა.** თბ. გუბერნატორმა მაზრის უფროსებს დაუგზავნა მიწერილობა. გუბერნატორი ატყობინებს, რომ, თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ დებულებისა, აკრძალულია საცხოვრებელ ბინებზე ფასების აწევა და სისხლის სამართალში იქმნებიან მიცემულნი ის ვაჭრები, რომელნიც პირველ მოთხოვნილების საგნებზე ხელოვნურად ფასებს ასწევენ. გუბერნატორი წინადადებას აძლევს მაზრის უფროსთ, რომ ვინც ამ დებულებას დაარღვევს შეუდგინონ ოქმები და სასამართლოს გადასცენ.

**კურსები მოზართათვის.** კავკ. სამოსწავლო ოლქის უცროსმა აცნობა თბ. გუბერნატორს, რომ სკოლის გარეშე მოზარდთათვის კურსების მომწყობ საზოგადოებას ნება დართო თბ. სასულიერო სემინარიაში სააეცნიერო პოპულიარული ლექციები გამართოს მოზარდთათვის საგანგებო პროგრამით. კურსებზე წაიკითხავენ ლექციას თ. კ. მარქარიანი ფსიხოლოგიიდან. ნ. ლ. დუბროვსკი „ინგლის-გერმანიის" ბრძოლაზე და კიევის უნივერსიტეტის პრივ. დოცენტი ა. ი. სელიხანოვიჩი—ისტორიიდან და ფილოსოფიიდან.

**მომხ. ამხ. „ნუგეში".** თბ. გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს ზემო [illegible] მცხოვრებლებმა ამ სოფელში მომხმ. ამხანაგობის „ნუგეშის" დაარსების შესახებ.

**სავაჭრო სამრეწველოს მსახურთ საზოგადოება.** კ. მ. აგამიანცმა, კ. ა. სადირაშვილმა და ნ. ი. დანდუროვმა შუამდგომლობა აღძრეს თბილისში სავაჭრო სამრეწველოს დაწესებულებებში მოსამსახურე პირთა მომხმ. საზოგადოების დაარსების შესახებ.

### სხვა და სხვა ამბები.

**სოფლის გაჭირვება.** გორის მაზრის, ზღუდრის სამამასახლისოში არის ერთი პატარა სოფელი სუქანაანთ-უბანი, რომელსაც წლეულს, სხვა ათასგვარ გაჭირვებასთან ერთად, შიმშილობაც თავს დაატყდა. სოფელში არ მოსულა არც პური და არც სიმინდი და ხალხმა აღარ იცის, რა ჰქნას. ამ უკიდურეს გაჭირვების დროს, ხალხის მდგომარეობაში არ შესულა თავ. მ. დ. ციციშვილი და ადგილის ღალას ეხლავე უკლებლად სთხოვს გლეხებს ფულად. მომრიგებელ შუამავალსაც მემამულის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებია და ზღუდრის მამასახლისისათვის მოწერილობა გაუგზავნია, რომ ეხლავე გადაახდევინოს გლეხებს ხვედრი გადასახადი და უკლებლად ჩააბაროს მემამულე თავ. ციციშვილს. ამ ამბავმა მოახწია ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობამდე, რომელმაც მოსწერა საზოგადოების გორის განყოფილებას სთხოვოს თავ. მ. ციციშვილს, რომ ღალის რაოდენობის საფასური შეუმციროს გლეხებს და გადახდის ვადა მისცეს მდგომარეობის გაუმჯობესობამდის.

**შრომის ბიურო.** კავკასიელ ქალთა საზოგადოების მეცადინეობით თბილისში არსდება ინტელიგენტ ქალთათვის სამუშაოს მოსაძებნად შრომის ბიურო. ბიუროსათვის ბინა დაქირავებულია გოლოვინის პროსპექტისა და გეორგიევის ქუჩის შესართავში და მუშაობას დაიწყებს 8 ამა გიორგობისთვიდან. ბიურო ეცდება საქმე უშოვოს მასწავლებლებს, აღმზრდელებს, ბავშვების მომვლელთ, კანტორის საქმის მცოდნეთ, ბუჰგალტრებს, ფერშლებს და სხ. ბიუროში ჩაეწერებიან ისეთებიც, რომელთაც რუსული არ იციან.

**რუსულ-ქართულ ლექსიკონი.** დ. კარიჭაშვილმა, რომელსაც წ. კ. გ. საზ. გამგეობისაგან მინდობილი აქვს ამ ლექსიკონის შედგენა, გამგეობას წარმოუდგინა მეოთხე ნაწილი თავისის შრომისა. მუშაობა მისულია ასო „შ"-მდე. ლექსიკონის შედგენა დასრულდება 4—5 თიბათვეში.

**პროფესორი მარრი.** სომეხ მწერალთა საზოგადოების თხოვნით ამ დღეებში თბილისს ჩამოვა პროფესორი მარრი და რამდენსამე ლექციას წაიკითხავს, სხვათა შორის, შემდეგს თემებზე: სომეხთა და კავკასიის შესწავლა.

**ნორმალური დასვენება.** 2 ამა თვეს შესდგა საგანგებო კომისიის კრება, რომელსაც აგრეთვე დაესწრნენ მეპურეთა უსტაბაშები და მუშა მეპურეთა დელეგატები. კომისიამ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილებანი ნორმალურ დასვენების შესახებ. ამ დადგენილებათა მიხედვით მეპურეების მუშებმა უნდა იმუშაონ დღე-ღამეში ომიანობის დროს 11 და მშვიდობიანობის დროს 10 საათი, 2 საათის გამოკლებით დასასვენებლად და სასადილოდ.

**სამხედრო სურსათის მყიდველი** ბ-ნი დ ნილოვსკი ატყობინებს თბილისის ქალაქის გამგეობას, რომ 37 ვაგონ ფქვილის გამოგზავნა შემიძლიან ეხლავე, თუ გამოგზავნით 136,000 მანეთსაო.

**სახელმწიფო შინაგან სესხზე** ხელი მოაწერეს თბილისის ვაჭართა ბანკში 207,000 მანეთზე.

**შაქრის მისაღები ბარათები** დაურიგდებათ ოჯახებს მომავალ ორშაბათს 7 ამა თვეს. თითო ბარათი ეღირება 1 კაპ. ბარათები შედგენილია საზოგო წიგნების მიხედვით.

**სასურსათო ორგანო.** დღეს, 4 გიორგობისთვეს, ქალაქის საბჭოს მიერ უკანასკნელ კრებაზე არჩეულ საგანგებო კომისიას და ქალაქის გამგეობას შეერთებული კრება ექნებათ, რომელზედაც უნდა გამოარკვიონ სასურსათო ორგანოს დანიშნულება და შემადგენლობა.

**ნიხრის მომატება.** საგანგებო კომისიამ და ქალაქის გამგეობამ შესაძლებლად ჰპოვეს მეეტლეთა შუამდგომლობა ნიხრის გადიდების შესახებ. კომისიისა და გამგეობის დადგენილება ქალაქის საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად. ეს დადგენი-

ლება თუ შეიწყნარა საბჭომ, ნიხრი მოემატებათ როგორც სამგზავრო ეტლებს, აგრეთვე საქონლის გადამტანთაც.

◆ **ექიმ გამრეკელის ანდერძი.** 26 ღვინობისთვეს ქალაქ ახალციხეში გარდაიცვალა ექიმი ვას. გიორ. გამრეკელი. განსვენებულმა სხვა და სხვა საზოგ. დაწესებულებებს უანდერძა 30 ათას მანეთზე მეტი. ანდერძში ასეა განაწილებული ეს ფული: ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებას—1,000 მ., ახალციხის გიმნიზია—2,000 მ., ახალციხის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელს—1,000 მ., ღარიბებს—1,000 მ., ქუთაისის მწვანეყვავილას ეკლესიას—500 მან., ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიას—500 მ., რაბათის (ახალციხეში) საქალებო სკოლას—1,000 მან., რაბათის ქართულ ბიბლიოთეკას—500 მან., რაბათის სამართმადიდ. სასაფლაოს მოსაწყობათ—1,000 მ. და ახალციხის თვითმართველობას—2,000 მან. იმ პირობით, რომ ამ ფულების (2,000 მან.) პროცენტების ნახევარი უნდა მოხმარდეს გარდაცვალებულის სამ ნათესავის აღზრდას, ხოლო მეორე ნახევარი უნდა მოხმარდეს სამ სტიპენდიას მისის ხელობისა და აღიზარდოს უღარიბეს მკვიდრთა შვილები განურჩევლად გვარტომობისა და სარწმუნოებისა.

◆ **შემოიტანეს** თბილისში 1 ამა თვეს: ფქვილი 32 ვ., სიმინდი 3 ვ., შაქარი 1 ვ., კართოფილი 1 ვ, შირი 1 ვ., შეშა 2 ვ., ახალი თევზი 196 ფუთი, კვერცხი 88 ფუთი, კარაქი 30 ფუთი.

# პოლონეთის სამეფოს გარშემო

## მთავრობის ცნობა

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენ.)

**პეტროგრადი,** 1 გიორგობისთვე. გერმანეთსა და ავსტრია-უნგრეთის მთავრობებმა ისარგებლეს იმ შემთხვევით, რომ მათ ჯარებს დღეს ხელთ უჭირავთ რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიის ერთი ნაწილი და გამოაცხადეს რუსეთის იმპერიისაგან პოლონეთის ოლქების ჩამოშორებისა და ამ ოლქებიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის აქტი. ჩვენს მტრებს ერთი აშკარა მიზანი აქვთ: რუსეთის პოლონეთიდან ჯარისკაცების მოკრეფა თავიანთი არმიების შესავსებად. საიმპერატორო მთავრობა ავსტრია-გერმანეთის ამ აქტში ხედავს ახალს და ყოვლად უტიფარ დარღვევას საერთაშორისო უფლებისას, რომლის ძალით აკრძალულია, რომ სამხედრო ძალით დაჭერილ ადგილების მცხოვრებნი მათ საკუთარ ხელისუფალთ აუჯანყონ და შეაბრძოლონ. რუსეთის საიმპერატორო მთავრობა ამ აქტს უსაბუთო და უმართებულო აქტად სთვლის პოლონეთის საკითხის გადაჭრის საქმეში. რუსეთმა ომის დაწყებიდან ორ-გზობა სთქვა თავისი სიტყვა: მის განზრახვაში შედის მთლიანი პოლონეთის აღდგენა, პოლონეთის ყველა მიწისა და ნაწილის შეერთებით.

# სახელმწიფო საბჭო

(პოლონეთის გარშემო)

### 1 გიორგობისთვე

სხდომა გაიხსნა გოლუბევის თავმჯდომარეობით. მინისტრთა ლოჟაში ისხდნენ მინისტრები და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

თავმჯდომარემ სხდომის გახსნისას წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა მოკავშირეთა რიცხვის გაზრდა, რუმინეთის გამოსვლით, აღნიშნა მოკავშირეთა მტკიცე გადაწყვეტილება ომი გამარჯვებამდე განაგრძონ, მსხვერპლის დაუზოგავად. სიტყვის შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორს საერთო „ურა“ უთხრეს. გადასწყვიტეს უქვეშევრდომილესი დეპეშა გაეგზავნათ.

**შებეკო** რიგს გარეშე განცხადებაში აღნიშნავს, რომ იგი ჯერ გაზაფხულზე მოითხოვდა, რომ მთავრობას ერთი მტკიცე გადაწყვეტილება და ღონისძიება მიეღო პოლონეთის საკითხის გადასაჭრელად, რათა ამ საქმეშიაც თაოსნობა არამც და არამც მტერს არ რგებოდა. მთავრობა ამის და მიუხედავად განაგრძობდა უქმად ყოფნას. ამასობაში ავსტრია-გერმანეთმა პოლონეთს დამოუკიდებლობა გამოუცხადეს. ორატორი სურვილს გამოსთქვამს, რომ პოლონეთის ხალხი თავის ინტერესს სწორად გაიგებს და გერმანელთა მაცდურებას არ მოეხიბლება, პოლონეთი უყოყმანოდ მოკავშირეთ გვერდში ამოუდგა, ომის დაწყებისას, რადგან სწამდა, რომ გამარჯვება გაერთიანებული პოლონეთის აღდგენას მოიტანდა, პოლონეთი თავის სურვილით რუსეთზე მახვილს არ აღმართავს, მაგრამ მთელი საშუალება და ტრაღიზმი ისაა, რომ მტერი არ დაერიდება, პოლონეთზე ძალმომრეობა იხმაროს და საკუთარი სურვილის წინააღმდეგ აამოქმედოს. ამ ძნელ წუთებში უნდა მხნეობა შევმატოთ პოლონეთს და გაუფანტოთ საშინელი აზრი: თითქოს რუსეთსა და მის მოკავშირეთ საბოლოოდ განეზრახოთ პოლონეთის დატოვება საკუთარი ბედის ანაბარა! რუსეთმა უნდა განაცხადოს, რომ პოლონეთის საკითხს რუსეთი გადასჭრის თავის მოკავშირეებთან ერთად.

**ზჩეგლოვიტოვი** მემარჯვენეთა ჯგუფის სახელით გამოსთქვამს უღრეს აღშფოთებას, იმ განსაცდელის გამო რომელიც მტერმა რუსეთის პოლონეთს განუმზადა. იგი მოუწოდებს პოლონელებს მოიგონონ მოწოდება, რომლითაც მეფის ბრძანებით პოლონეთის ხალხს მიმართა უმაღლესმა მთავარსარდალმა 1914 წ. პირველ მარიამობისთვეს. გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ომის პირველ წელს ვერ მოიცალეს პოლონეთის შინაგანი ცხოვრების განსაახლებლად და მოსაგვარებლად, მაგრამო, ამბობს ორატორი, საქალაქო თვითმართველობა მაინც მივანიჭეთ და შემდეგშიაც პოლონეთის აღდგენა მხოლოდ რუსეთის საშუალებით მოხდებაო. პოლონელების ხსნა რუსეთის თვითმპყრობელის საქმე იქნება, იმ თავისუფლების აქტში, რომელიც ავსტრია-გერმანეთმა გამოაცხადა, პოლონელების სიკვდილია, მარცხიაო.

**ნეიდგარტი** მემარჯვენე ცენტრის ჯგუფის სახელით გამოსთქვამს აღშფოთებას, რომ ტევტონთა აქტმა დაარღვია ღვთისა და ადამიანის კანონი და გასთელა საერთაშორისო უფლება, უფლება რუსთა და პოლონელთა, უფლება საქვეყნო. ამ აქტებს არ ძალუძთ რუს-პოლონელთა ურთიერთობის გამორკვევა, არ ძალუძთ ამ ხალხების შინაური დავის გადაჭრა. პოლონელთა მდგომარეობა ღრმად ტრაღიკულია, გერმანელთა ცბიერება მათ ეძალება, დაარღვიონ დადებული ფიცის ღვთიური შვენება.

**გურკო** სეპარატიული გაერთიანების სახელით სალამს უძღვნის პოლონელთა განცხადებას, რომ ისინი ბოლომდე რუსეთის ერთგულნი დარჩებიან. ორატორი ამბობს, რომ პოლონელთა ერთგულებაში იჭვი არავის შეუტანია, რომ ამ ერთგულობას მაღლად ღაღადებს რუსის ჯარში მებრძოლ პოლონელთა სიმამაცე. ავსტრია-გერმანეთის აქტში ორატორი იმის საწინდარს ხედავს, რომ მტრებმა იმედი დაჰკარგეს პოლონეთის შენარჩუნებისაო. პოლონეთის წინაშე მტანჯველი დილემაა. პოლონეთის ყოყმანი და გრძნობის გაორება გასაგებია. პოლონეთს წინადადება ეძლევა, ან სლავთა მოდგმის ძველისძველთაგან მტერთა ბანაკში ჩადგეს, ან კიდევ ამაზე უარი სთქვას და გამოეთხოვოს ავსტრია-გერმანეთისაგან დაპირებულ თავისუფლებას. რუსეთი ამას ვერ გაუწყდება. მან უნდა განუმტკიცოს სულის სიმხნევე პოლონეთის ხალხსო.

—

პოლონეთის საკითხის შემდეგ, რომელიც რიგს გარეშე იყო წამოყენებული, სახ. საბჭო მორიგ საკითხებზე გადავიდა.

თანახმად პირადი შემადგენლობის კომისიის მოხსენებისა, სახელ. საბჭომ დაადგინა, გაიჩინოს ორი ახალი მუდმივი კომისია, ერთი—სახალხო განათლების საქმეებისა, მეორე—სოფლის მეურნეობის საქმეებისა.

# სახელმწიფო სათათბირო

(გაგრძელება)

სათათბიროს მდივანი კითხულობს განსახილველ საქმეებს: მათ შორის არის საბიუჯეტო კომისიის განცხადება, რომელიც ითხოვს დაუყოვნებლივ განხილვას. სათათბირომ დაადგინა, ეს განცხადება ეხლავე უნდა განხილულ იქმნესო. რიგს გარეშე განცხადებით გამოდის ბ-ნი **გარუსევიჩი** და პოლონელთა კოლოსაგან შემდეგს აცხადებს: გერმანეთ-ავსტრიისაგან გამოცხადებული აქტი, პოლონეთის აღდგენის და გალიციის მოწყობის შესახებ, ახალ საერთაშორისო საკითხებს სვამს გადასაწყვეტათ; ამ სისხლის მღვრელ ომის უმნიშვნელეს მომენტმა, გერმანეთი გაკადნიერდა წინდაწინ გარდაეწყვიტა ბედი არა მარტო პოლონეთის, არამედ ევროპის მთელი შუა-აღმოსავლეთის ნაწილისა. პატარა ნაწილებისაგან, გერმანეთის მიერ, დამოკიდებელი პოლონეთი, მრავალ მხრივ დამოკიდებელი გერმანეთ-ავსტრიისაგან, უსათუოდ გახდება გერმანეთის იმპერიალიზმის იარაღად. პოლონეთის ერის აკვანს, პრუსიის პოლონურ პროვინციების დაუკითხავად აგერმანელებენ (ხმები: მართალია). ამასთან ერთად, გალიცია რჩება გამხურგთა მონარხის მფლობელობაში და ავტონომიის გაფართოვების დაპირებით, სრულებით სცილდება ავსტრიის შინაურ ცხოვრებას, უკანასკნელი კი ისევ გერმანულ სახელმწიფოდ ითვლება როგორიც 1848 წლამდის იყო და სლავურმა ერებმა ისევ გერმანელთა მუხრუჭი უნდა გადაიტანონ (ხმები: მართალია). იმ სახელმწიფოთა წინ, რომელნიც გერმანეთის გეგემონიის წინააღმდეგ იბრძვიან, მძლავრად აღიმართა კითხვა: ცენტრალ იმპერიათა მიერ გარდაწყვეტილი საკითხი პოლონეთისა ეთანხმება სიმართლის, სამართლიანობის და ერთა თავისუფლების პრინციპებად ჩაითვლება თუ არა მტკიცე ზავის ერთ-ერთ მოთხოვნილებად. პოლონეთის ერი არ მიიღებს გერმანეთის გარდაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება პოლონეთის დიდი ხნის მისწრაფებას (ხმები: ვაშა). საუკუნე ნახევარის განმავლობაში პოლონეთი მხოლოდ იმ შეურყეველი რწმენით სცხოვრობდა, რომ დადგება დრო ისტორიულ სამართლიანობისა, ჟამი თავისუფალ და შეერთებულ პოლონეთის აღდგენისა, ეს რწმენა აძლევდა მას ძალას მხნედ ყოფილიყო განსაცდელში, დაეცვა მთლიანობა სულისა, შეერჩინა და განევითარებინა ეროვნული კულტურა. ნათელი გახდა, რომ ევროპაში მტკიცე ზავი შეუძლებელია, რადგან არ უჩანს საზღვარი გერმანელთა სურვილებს (ხმები მარცხნით: „მართალია“, „მართალია“). ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ გერმანულ აქტის გამო, რომელიც პოლონეთს ნაწილებად ჰყოფს და შეერთების ისტორიულ აუცილებლობის წინააღმდეგ მიდის.

პოლონეთის სახელმწიფო წარმოუდგენელია, თუ იმაში არ შევა კრაკოვი, პოზნანი, სილეზია და არ იქნება პოლონეთის ზღვა (ხმები მარცხნით: „ვაშა“, ტაში).

პოლონელთა ძველი პოლიტიკური აზრი, პოლონეთის საკითი გერმანეთის მიერ ვერ იქნება გარდაწყვეტილი, ჯერ-ჯერობით შეურყეველი რჩება. პოლონეთის სამივე ნაწილის წარმომადგენლებმა პარიზში და თითქმის სუყველა გავლენიანმა პარტიამ უკვე განაცხადა, რომ გერმანელთა სამხედრო პროექტები ფრიად სავნოა პოლონეთისათვის, ხოლო ჯარის შედგენა დღევანდელ პირობებში პირდაპირ ეწინააღმდეგება ერის უმრავლესობის სურვილებსო (ტაში მარცხნით). არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ გერმანელთა აქტს შედეგად მოჰყვეს მრავალი გაუგებრობა და დამახინჯდნენ პოლონელთა ნამდვილი მისწრაფებანი. გერმანელთა ერთად-ერთი მიზანია, უთანხმოება ჩამოაგდოს პოლონეთის, რუსეთის და მოკავშირეთა შორის და დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამოცხადებით—რაიც პოლონეთის ბუნებრივ უფლებას შეადგენს, მოახდინოს პოლონელთა უკანონო გაწვევა ჯარში.

ჩვენ, პოლონეთის ერის წარმომადგენლებმა, არაერთხელ გავაფრთხილეთ მთავრობა, რომ გერმანეთი ლამობს მიითვისოს რუსეთისა და სხვა მოკავშირეთა მიერ აღებული ინიციატივა პოლონეთის საკითხის გადაწყვეტისა, მაგრამ მთავრობამ ხმა არ გაიღო და ვერ დაარწმუნა ერი, რომ რუსეთის გარდაწყვეტილება, უმაღლეს მთავარსარდლის მიერ განცხადებული, შეურყეველია და წარსულისაკენ დაბრუნება შეუძლებელია.

მთავრობის დუმილი ამ საკითხში, ჩვენმა მოწინააღმდეგემ გამოიყენა, რათა ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, თითქოს მას თვით რუსეთმა მიანდო პოლონეთის ბედის გადაწყვეტილება. დასასრულ, ბ-ნი გარუსევიჩი იმედს აცხადებს, რომ ამ ისტორიულ მომენტში, რუსეთი არ დასტოვებს პოლონეთს და უკანასკნელს სრული უფლება აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენის იმედი იქონიოს. პოლონელნი დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანეთის ძლიერება დაცემულ იქნება და რუსეთისა და მოკავშირეთა გამარჯვებით პოლონეთსაც მიეცემა საშუალება თავისუფალ ცხოვრებისა.

2 საათ. და 54 წ. კრება ნახევარი საათით შეწყდა. კრება იხსნება 3 საათ. და 20 წ.

პროგრესიულ ნაციონალისტების, ცენტრის ჯგუფის, კადეტების და ოქტომბრისტების სახელით გამოდის ბ-ნი **შიდლოვსკი** და აცხადებს: მიუხედავათ მრავალის მსხვერპლისა, ომი უნდა გამარჯვებით დავათავოთ, ამაზე ბევრი თათბირი არც არის საჭირო. სამწუხაროდ მთავრობა დაყრუვდა და არ ესმის მთელი რუსეთის ნათლად გამოსახული მისწრაფება. ერთის წლის წინად ხალხის წარმომადგენლობამ აღნიშნა უძლურობა მთავრობისა, რომელიც ხალხის მასაზე არ ეყრდნობოდა, უხეიროდ ხელმძღვანელობა სურსათ-სანოვაგის მიწოდების დროს და აღნიშნა აგრეთვე დანაწილება-დაქუცმაცება მთავრობის ძალისა. მაგრამ სათათბიროს ასეთმა განცხადებამ ნაყოფი არავითარი გამოიღო. ორჯერ შესწყდა სათათბიროს სხდომები და კანონი გაჰყავდათ 87 მუხლის ძალით. მტრული განწყობილება ხალხისნურ ორგანიზაციებისადმი და უნდობლობა პრესისადმი გრძელდებოდა. ხალხს არ სწამს ის, რომ რაც ხალხისთვის ნათელია, მთავრობისთვის არ იყოს ნათელი. კავშირის უქონლობამ ის გამოიწვია, რომ ქვეყნის ძალღონე თანასწორად არ იქმნა განაწილებული. სწორედ ამის გამო და არა სურსათის უქონლობით წარმოიშვა ეკონომიური დაცემა.

შემდეგ ორატორი დაასკვნის: ჩვენ მოკავშირეებს დიდის ნდობით ვეპყრობით. საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო უხეში უნდობლობა დიდებულ მოკავშირე ინგლისისადმი (ტაში), ჩვენ არ შეგვიძლიან გვერდი ავუქციოთ პოლონეთის ბედს. ვითათბირეთ რა მათ საკითხის გადაწყვეტის დაგვიანების შესახებ, მივესალმებით პოლონეთის ხალხს, რომელიც მოკავშირეებთან ერთად მოიპოვებს თავისუფლებას. შემდეგ ორატორი განაგრძობს: მთავრობას თანაბარად უნდა ესმოდეს მომენტის მნიშვნელობა და ეყრდნობოდეს სათათბიროს უმრავლესობას. ორატორი შემდეგის სიტყვებით ათავებს: უკანასკნელ სიტყვას ვუძღვნით ჩვენს დიდებულს ლაშქარს, რომელიც რუსეთის სახელმწიფო ინტერესების გულისთვის სისხლსა ჰღვრის იმ იმედით, რომ მისი საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება (ტაში).

**ლაპარაკობს ჩხეიძე.** მისი სიტყვა ცენზურის თავმჯდომარემ [illegible]

ლევაშოვი მემარჯვენეთა [illegible] აცხადებს: ფრაქცია უპირველესად აღნიშნავს სისხლის მღვრელ ომში მოძმეთაგან უმაგალითო გამარჯვებას. მათი გამარჯვება ჩვენს გულს უსაზღვრო სიხარულით ავსებს. როცა მათი გამარჯვებული წინსვლა შეჩერებულია, ღრმად დარწმუნებულნი ვართ ეს შეჩერება ჰხდება არა იმის გამო, რომ მათ ვაჟკაცობა აკლიათ, არამედ განსაკუთრებულ პირობების გამო, რაიც მოითხოვს სამხარ მასალის მოგროვებას და ადამიანთა ძალას, რათა მუდამ წინ მიდიოდნენ. მემარჯვენეთა ფრაქცია დიდს მადლობას უძღვნის მოკავშირეებს. ომის დაწყებამდე ჩვენ მთავრობას ყურადღებას ვაქცევინებდით გერმანეთიდან გამოსულ ხალხზე, მათ ორგვარ ქვეშევრდომობაზე და გერმანელთა ძალადობაზე. ყველა ამას ფართო ბრძოლა სჭირდება. აგრეთვე ყურადღება მივაქცევინეთ სიძვირეზედ, მაგრამ სათათბირომ ამას ყურადღება არ მიაქცია. მემარჯვენეები აუცილებელ საჭიროებად სთვლიან ამ საკითხთა დაუყოვნებლივ წამოყენებას. დიდს მწუხარებად გვრჩება გერმანელების მოპყრობა რუსეთის პოლონეთის მიმართ. მისი თავისუფლება აღიარებულია იმ მიზნით, რომ გერმანეთმა იქიდან ჯარი შეჰკრიფოს. რუმინეთის გამოსვლა, მემარჯვენეების რწმენით, რუსეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვებაა. დასასრულ, ორატორი უარჰყოფს იმ ბრალდებას, ვითომც მთავრობა ყოველ ღონეს არ ხმარობდა და არ ზრუნავდა სურსათის და სამხარ მასალის მისაწვდენად.

ტრიბუნაზე გამოდის **კერენსკი.** მისი სიტყვა ცენზორის თავმჯდომარემ არ გაუშვა.

**ბალაშევი,** რუსთა ნაციონალ ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ მთავარი ყურადღება ჯარის ზურგის გამაგრებას უნდა მიექცესო, ამის გამო შეერთებული მოქმედების გეგმა უნდა სწარმოებდეს მთავრობასთან, იგი უნდა ნდობით მოეპყრას თვითმართველობის ორგანოებს. სასტიკ ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ ცარცვა-გლეჯისა და გაქურდვის წინააღმდეგ. დასასრულ, იგიც პოლონეთის ბედის შესახებ დიდ მწუხარებას გამოსთქვამს. პოლონეთის საკითხი საბოლოოდ რუსეთის მხედრობის იარაღის საშუალებით უნდა გადასწყდესო.

# თევდორე ჟორდანიას გასვენება

## სამძიმრის დეპეშები

**ფოთი.** 30 ღვინობისთვე. ფოთის საკათედრო ტაძარში წარსული კვირის განმავლობაში ყოველდღე სრულდებოდა წირვა და პანაშვიდი ჩვენის სასიქადულო არქეოლოგ-ისტორიკოსის თევდორე ჟორდანიას სულის მოსახსენებლად. ხოლო კვირას, განსვენებულის თ. ჟორდანიას დაკრძალვის დღეს, საკათედრო ტაძარში წირვა და პანაშვიდი შეასრულა ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ ადგილობრივ სამღვდელოების თანამსახურებით. ეკლესია სავსე იყო ხალხითა. წირვის ბოლოს

# ჩვენი ძველი წესები და მათი მნიშვნელობა

(გაგრძელება, იხ. „საქარ.“ № 242).

დროს გატარებას ქართველი კაცი უერთებს რომელსამე ოჯახურ ბედნიერ დღეს: დაბადებას ოჯახის მწევრისას, ნათლობას, ნიშნობას, ქორწილს, და აგრეთვე საეკლესიო დღეებს: შობა-კალენდა-აღდგომას და სალოცავ დღეებსაც (სამიქელ-გაბრიელო, სალვთო და სხვ.). არის სალოცავი დღეები მარტო ქალებისთვის და მარტო ვაჟებისთვისაც, ან მარტო მცირეწლოვანებისთვის, ან მარტო მწყესებისათვის. ყველა დღეობებს რო თავი მოუყაროთ, ცხადად დავინახავთ, რომ სოფლის დაბეჩავებულ გლეხსაც-კი იმდენი დროს გასატარებელი დღესასწაულები აქვს დაწესებული, რომ მთელი წლის ნანმავლობაში ოჯახი ვერ იგრძნობს მოწყენას, არც მოუნდება მას დუქნ-ყავახანაში მიმართოს გასართობად: წელიწადში რო გლეხმა სამი დღესასწაული გამართოს და მოყვარეები მოიპატიჟოს, სამაგიეროდ მასაც სამ-სამჯერ მიიპატიჟებენ ოჯახიანად თითოული მისი მოყვრები, ისე რომ გლეხის ოჯახობა მთელს წელიწადს მხიარულად ატარებს. მოწყენისაგან დაზღვეული იყო ქართველი კაცი, სანამ მტკიცედ მოქმედებდა ესეთი წესი თვით ერის გენიოსობისაგან შექმნილ ჩვეულებათა. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ყველა კვირა დღეებს აღდგომიდან მკათათვის დამლევამდე (ე. ი. მ[illegible]ელ ზაფხულს), ქართველ ერის ჩვეულებით, მთელი სოფელი დროს ატარებდა „მოედნებზე“, სადაც გაიმართებოდა მევრნაირი ფერხულები, სიმღერა, ბურთაობა, ხშირად ჯირითობაც.

თვით გლეხური მუშაობაც ისე იყო ჩვენში მოწყობილი, რომ განუწყვეტელს მხიარულებას წარმოადგენდა. შემოღებული იყო „მამითაღობითი“ მუშაობა (ნადობა) ე. ი. თითოეულ მეზობლის სამუშაოზე რიგრ-გობით იკრიბებოდა ათიდან ოცამდი ან მეტიც მუშა, რომელნიც მთელ სამუშაო დღეს ატარებდენ დაუცხრომელ სიმღერაში, სიცილ ოხუნჯობაში, სიამოვნებაში. სადაც ფიზიკური შრომა ასე გონივრულად დაყენებულია, იქ ადგილი არა აქვს არც დაღლას, არც მოწყენას და თვით მუშაობაც ბარაქიანდება.

ამ ნაირს კულტურულს ორგანიზაცია უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ქართველი ერი სხვა ერებზე მხიარულია, უდარდელი, მომღერალი, მეოხუნჯე, პურმარილიანი, ქეიფობის მოყვარე, გაუტეხელი. მართალია რუსულ კრეპოსტნიკობის მოკლე ხანამ მძიმე დაღი დაჩნია ჩვენს ერს, მაგრამ ამ სამარცხვინო ხანას არსებითად ვერ შეუცვლია ბუნებრივი თვისება ქართლკახელებისა; ხოლო დასავლეთ საქართველოში კრეპოსტნიკობა სულ ოციოდი წელიწადილა მძლავრობდა და ამიტომ ღრმა კვალი ხალხის ცხოვრებაზე არ დაუჩენია. მაინც უნდა ითქვას, რომ აქაც ჩვენ კულტურას წარსულმა საუკუნემ მძიმე ლახტი მოახვედრა და იმდენად დაქსაქსა ჩვენი ძველი წყობილება, რომ ბევრი რამ დღემდის საძიებელი გვაქვს და გამოსაკვლევი. დასაფარავი არ არის, რომ უბოროტესი მტერი ჩვენს კულტურას აქაც შინაურებში გამოუჩნდა. ეს იყვნენ ესრედ წოდებული(ჯ „თერგდალეულები“, ე. ი. რომელნიც სწავლის მიღებისათვის თერგისკენ გამგზავრებულან (რუსეთს ან საზღვარგარედ), იქ გადაგვარებულან და აქ დაბრუნებულებს ჩვენებური კულტურა უარუყვიათ სიტყვით და საქმით.

—

რაც შეეხება თვით ქართულ ეროვნულ სიმღერებს, უნდა აღვიაროთ, რომ აქ ქართველებს ტოლი არა ჰყავთ სიმღერათა თავისებურობაში, კილოების სხვადასხვაფეროვნებაში, ჰანგთა სიმრავლეში, ხმის ქცევათა დაულევნელ სხვა და სხვაობაში. თუმცა ქართული სიმღერა ჯერ კიდევ არ არის ევროპიულად გავარჯიშებული, მაგრამ ამ ჩვენს კულტურულს დარგში იმდენი ბუნებრივი ნიჭი და ძალაა ჩამარხული, რომ მას ბრწყინვალე მომავალი აქვს. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სხვანაირია ვაჟკაცობით და სიხარულით აღსავსე სიმღერა კახელებისა, სხვაა დინჯურის სიხარულით დამტკბარი საერო სიმღერა ქართლელებისა (მრავალჟამიანი); სულ სხვა ხმები გესმის იმერულ ფერად-ფერადობით წარმტაც სიმღერებში (სამხმოვანი) და გურულ-მეგრელების გიჟურ ხმებში. სულ სხვაა იმავე ქართველთა თემების „ლილინები“ და საცალხმო სიმღერები, საურმულო თუ საჩონგუროები.

უფრო შესანიშნავია ხალხისგან შედგენილი გალობა: დღეობების მილოცვა და სადღესასწაულო ჰიმნები, დიდ წმინდანების ძილისპირნი, სამტირალონი („ზარი“) და სხვ. თუმცა არა თუ „თერგდალეულები“, არამედ ხანდისხან თანამედროვე ნასწავლ კაცებიც-კი, სასირცხვილოდ, უარჰყოფენ ხალხურ გალობას, მაგრამ დღესაც-კი შეიძლება ხალხური საერო ჰიმნი აქაიქ მოიკრიფოს საქართველოს კუნჭულებში და მომავალს თაობას გადაეცეს ხალხის ჰენიოსობის ნაწარმოები. არას ვიტყვი ქართულ საეკლესიო გალობაზე, რომლის უძღრესი ღირსება უკვე ცნობილია სპეციალისტებისაგან. ქართული გალობა, დევნილი თვითონ „თერგდალეულ“ ქართველებისაგან, ძლივს სულსა ღაფავდა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროებში მას ქართველ ახალთაობაში მხნე შემწეები აღმოუჩნდენ და ნიჭიერი მუშაკები. ამათის წყალობით საეკლესიო გალობისაგან ნატამალი მაინც შეგვრჩება და ესეც ხომ დიდი იმედია.—ამ ნახევარ საუკუნის წინ, როგორც ყველამ ვიცით, იმერეთის დიდ-დიდ მონასტრებში და საკრებულო ეკლესიებში ფართოდ იყო დაყენებული საეკლესიო გალობა. რვა ხმად იგალობებოდა ყველა საგალობლები და წირვაც. რომელი ხმა იდგა ტიბიკონით, მღვდელმთავრები იმ ხმაზე მოითხოვდენ გალობას და სხვა ხმებზე გადასვლის ნებას არ აძლევდენ. ახლა ამ ცოტა ხანში ისე დამცირებულა ჩვენი გალობის ცოდნა, რომ ამ ძველ ქართველთაგან შექმნილის დიდ კულტურისაგან ნატეხების აღდგენა და შესძლეს ჩვენის კულტურის მოყვარე გმირებმა.

—

მას შემდეგ, რაც ქართულ ეკლესიის კათედრაზე დაჯდა თეოფილაქტე რუსანოვი, პირველი რუსი—ექსარხოსი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თავისუფლებას ზედიზედ დასცხეს კეტები. ჯერ თეოფილაქტემ გადააგდო ალაპები, ეს პირველ საუკუნეთაგან განუწყვეტლად მომდინარე საეკლესიო ჩვეულება მკვდრების სულის მოსახსენებლად დადგენილი. ეს ჩვეულება ქრისტიანობასთან და ქართულ საღმრთო წიგნებთან ერთად მივიღეთ ჩვენ საქართველოში დასახლებულ ებრაელ ქრისტიანებისაგან [1]), რომელთაც ეს ჩვეულება (ზვარაკების დაკვლა) შეირჩინეს ძველის აღთქმიდამ ბრძანებისამებრ მაცხოვრისა, რომელიც ძველ სჯულს თვითონაც ასრულებდა და მოწაფეთაც ურჩევდა მისს ასრულებას, ე. ი. ზვარაკის შეწირვას ტაძარში. მეექვსე მსოფლიო კრებამ კანონიერად სცნო ქართველ-სომეხთაგან ზვარაკების შეწირვა, ოღონდ კურთხევა ხორცისა („საკურთხი“) უბრძანა თუმცა შიგ ეკლესიაში, მაგრამ არა ტრაპეზზე, სადაც შეიწირვის მარტო უსისხლო მსხვერპლი.

ეს წყობილება, დაკანონებული მეექვსე მსოფლიო კრებისაგან 681 წელს, არავის დაურღვევია და ქართული ეკლესია დღემდის მისდევდა მას. რუსის ექსარხოსები კი უარჰყოფენ ამ ძვირფასს თავისებურობას ქართულ ეკლესიისას, რომელიც მომდინარეობს თვით ანდრია მოციქულის დროიდამ. თითქმის ერთი საუკუნე მ-დ-ს, რაც იდევნება ესეთი ჩვენი სამართლიანი უფლება, რომელსაც რუსის ეკლესია უნდა იცავდეს ყოველ ღონით, როგორც პირველ საუკუნეთა წყობილების ნაშთს, როგორც სხვანიცა ბევრნი ჩვეულებანი (მაგალ. მთელის პურის განტეხა და მაზედ ღვინის დასხმა—უპირველესი სახე ზიარებისა. მკვდრის დამარხვაზე ზიარების ნიშნად სასაფლაოდან დაბრუნებული ხალხი ზოგან ხმარობენ მე II—III საუკუნის სახეს ზიარებისას: ღვინით სავსე ჯამში ნატეხ პურს ჩაჰყრიან, აქედან ხალხი თითო ღვინით გაჟღენთილ ლუკმას ამოიღებს, მკვდარს მოიხსენიებს და მიიღებს, როგორც ზიარებას, მოწიწებით.

† თ. ჟორდანია.

(დასასრული იქნება)

1) ამავ ახლო ხანში გამოვა ცალკე გამოკვლევა. ახალ გამოკვლევით ქრისტიანობა საქართველოში მცხოვრებ ებრაელებში და აქედან ხალხშიც შემოიტანეს მოციქულებმა ანდრიამ და სვიმონ კანანელმა მოწაფეებითურთ პირველს საუკუნეში. ხოლო წმ. ნინომ სრული ძლევა მისცა ქრისტიანობას მეფის და დიდკაცობის მოქცევით, როდესაც ხალხში ქრისტიანების რიცხვი ბევრად სჭარბობდა წარმართებისას.

ყოვლადსამღვდელო ლეონიდემ ჩვეულებრივად წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, რომელშიაც მოიხსენია განსვენებული ჟორდანია, როგორც ღრმად მორწმუნე ქრისტიანე, რომელიც მოციქულებრივის მხნეობით თესდა ჩვენში ქრისტეს სარწმუნოებას.

დეკ. იოანნე ბობოხიძე.

—

**თ. ჟორდანიას ანდერძი.** განსვენებულს თედო ჟორდანიას ანდერძი დაუტოვებია, ჯერ კიდევ 1913 წელს დაწერილი. ამ ანდერძში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩემს წიგნთ-საცავს და არქეოლოგიურ საბუთებს ვუტოვებ იმ ჩემს შვილს, რომელიც საარქეოლოგიო შრომას მოჰკიდებს ხელსა, ხოლო თუ ჩემს შვილებში ასეთი არ აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში (წიგნთ-საცავი და საბუთები) უნდა გადაეცეს იმ ქართულს საზოგადოებას, რომელიც იკისრებს თავისის ხარჯით დაბეჭდოს ყველა ჩემი დაუბეჭდავი გამოკვლევანი საგრამატიკო, საისტორიო და საარქეოლოგიო (საბუთების დედნები და ასლები) ჩემის შვილის გიორგის ან მის მიერ არჩეულ პირის რედაქტორობით“.

ზემოხსენებული ანდერძი თუმცა თვით განსვენებულ თ. ჟორდანიას ხელით არის დაწერილი, მაგრამ კანონის ზოგიერთ ფორმალურ მოთხოვნილების აუსრულებლობის გამო კანონიერად ვერ ჩაითვლება და სასამართლო მას ვერ დაამტკიცებს. მიუხედავად ამისა, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, განსვენებულის შვილებს მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ არაფრით არ გასტეხონ მამის ანდერძი.

## სიტყვა აპ. წულაძისა

(ოზურგეთის წარმომადგენლისა, წარმოთქმული თ. ჟორდანიას დასაფლავებაზე, დიდუბეში).

„დადუმდა ბაგე მართლის მეტყველი,
გულზე დაეწდო მშრომელი ხელი;
წარსულ სიბნელის ნათლის მომფენელს
ამიერიდან დაჰფარავს ბნელი“.

ჩვენი ერის საამაყო მგოსანი აკაკი ამ სიტყვებით გამოეთხოვა ამავე დიდუბის სავანეში—ქართველთა საგანძურში, განსვენებულს დიმიტრი ბაქრაძეს. ეს სიტყვები აკაკისებური სხარტი დახასიათებაა დიმიტრის მოღვაწეობისა. იგივე სიტყვები ჩვენ თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ დღეს ჩვენი ძვირფასი თევდორე ჟორდანიას ცხედრის წინაშეც: თევდორეც ხომ დიმიტრისებური მოღვაწე იყო.

მართლის მეტყველი ბაგე და მშრომელი ხელი ბნელით მოსილ ჩვენი ისტორიის, ჩვენი უკუნეთი წარსულის კვლევა-ძიება-გაშუქებას მოანდომა, ჩვენთვის შრომაში დადნა და დაილია.

მრავალფეროვანია ქართველი საზოგადო მოღვაწის მოღვაწეობა, მისი ძალა, ნიჭი და შემოქმედება სხვა და სხვა დარგში იქსაქსება და მიტომაც იშვიათია ჩვენში ისეთი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც საზოგადოებიდან მადლობის ნაცვლად საყვედური არ სმენოდეს, რადგან ჩვენ ერთი კაცისაგან ყველაფერს ვთხოვთ. იმას კი არ განვსჯით, შეუძლია თუ არა ერთ პიროვნებას იყოს კარგი მოხელე, უებრო აღმზრდელ-ოსტატი, ნიჭიერი პუბლიცისტი, ისტორიკოსი, არქეოლოგოსი და სხვა, შეიძლება ყველა ამასთან ისიც მოვთხოვოთ—იყოს მგოსანიც. თავის ხანგრძლივ მოღვაწეობაში ბ-ნ თევდორესაც წილად ხვდა სხვა და სხვა დარგში ეშრომა და ეჭირნახულა. თავისუფალ ქვეყანაში შეიძლება ეს უფრო ადვილიც იყოს, მაგრამ ჩვენში, სადაც ზეიდან გიბრძანებენ რანაირად იმასწავლებლო, დაბრკოლება ძნელი დასაძლევია. მაგრამ რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, განსვენებულმა თევდორემ შეუძლებლობის ზღუდე გადალახა და თავისი მშრომელი ხელის კვალი და გამჭრიახი გონების ნაყოფი ყველგან მძლავრად აღნიშნა. გურიის დედა-ქალაქი ოზურგეთი, რომლის წარმომადგენლობა დღეს წილად მხვდა, უმადლიან განსვენებულს, რომ მის მასწავლებლობის დროს აღიზარდნენ გურიის საუკეთესო შვილები, საერო და სასულიერო ასპარეზზე მოღვაწენი. თევდორეს სამრევლო სკოლების მეთვალყურეობის დროს გურიაში გაიხსნა სამრევლო სკოლები და ისე გამრავლდა, რომ დღეს გურიაში წერა-კითხვის უცოდინარი აღარავინ რჩება და თუ მთავრობამ ვერ შესძლო ან არ ინება საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება, ეს თვით ხალხმა შემოიღო და დაიკანონა. მაგრამ ყველა ამაზე მეტად გურია აფასებს თევდორეს საისტორიო მოღვაწეობას—ჩვენი ისტორიის შესწავლა-გაშუქებას. გურია დიდათ სწუხს, რომ სხვა გარეშე უმადური ტვირთისაგან დღეს თავისუფალ თევდორეს არ დასცალდა სისრულეში მოეყვანა თავისი დიადი სურვილი, მისი პირდაპირი მოწოდება—საქართველოს ისტორიის დასრულება, მაგრამ იმ შრომას, რაც მას ამ მხრივ მიუძღვის, არავინ დაივიწყებს. დასასრულ, გავკადნიერდები და ჩემს თავს ნებას ვაძლევ ძვირფას ცხედარს გამოვეთხოვო აკაკის სიტყვებით:

„მშვიდობით, ძმაო, ნეტარება შენ,
რომ შეასრულე ამ სოფლის ვალი.
შენ ნაყოფიერს წარსულს და აწმყოს
ძეგლად დაგიდგამს თვით მომავალი“.

## ქართ. კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირის პირველი ნაბიჯი

კავშირის გამგეობამ პირველსავე თავის სხდომაზე შეიმუშავა თავისი სამოქმედო გეგმა და ამის პრაქტიკულად განხორციელება მიზნად დაისახა. აღნიშნული გეგმის დედა აზრი ის არის, რომ უპირველეს ყოვლისა კავშირი მთელი თივისი ძალ-ღონით თავს დასტრიალებდეს ხალხის განათლების საქმეს და ამის მიხედვით ყოველივე ღონე იღონოს, რომ ცოდნა-განათლების უმთავრეს იარაღს, როგორიც არის სახალხო სკოლა, შესაფერისი ნიადაგი მოუპოვოს, რათა აღნიშნული საგანი ულყუარად იყვეს ყოველმხრივ გაშუქებული, გამგეობა მიანდობს თავის წევრებს და აგრეთვე საგანგებოდ მიწვეულ სპეციალისტებს დასაბუთებული მოხსენებანი შეიმუშაონ, რომელთაც გამგეობა ჯერ თითონ განიხილავს და შემდეგ კავშირის საზოგადო კრებას წარუდგენს მსჯავრის დასადებათ.

კავშირის გამგეობას კარგად შეუსწავლია ის ანორმალური მდგომარეობა, რომ სახალხო სკოლების სახე, ენა, პროგრამების რაოდენობა და კანონმდებლობანი, რომლებიც აწესრიგებენ კერძო და უწყებათა სკოლების უფლებებს, იმდენად არიან არეულნი, რომ, მაგალითად, მთავრობის წარმომადგენელნი რის გაკეთებასაც ერთს რაიონში უკრძალავენ, იმის გაკეთება მეორე რაიონში დაუბრკოლებლივ ნებადართულია და არავითარ გაუგებრობას არ იწვევს. აგრეთვე კარგად გაუთვალისწინებია გამგეობას სკოლის მომავალიც: მომწიფებულია სახალხო სკოლის შესახებ მთავრობის ახალი პროექტი, რომელიც დღეს თუ არა, ხვალე მაინც ასე თუ ისე განხორციელდება; მომწიფებულია აგრეთვე ამიერ კავკასიის საერობო რეფორმების საკითხი, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ისე თუ ასე უნდა გადაწყდეს. და, აი, ორივე აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტა, ყოველივე ეჭვს გარეშეა, დიდს გავლენას იქონიებს ქართველ ერის პირველდაწყებითი სკოლის ბედიღბალზე და ამიტომ გამგეობას გადაუწყვეტია ეხლავე შეუდგეს წევრთა დახმარებით იმის გამორკვევას, თუ რა გზით და როგორ შეუწყოს ხელი კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირმა სასკოლო საქმის სასურველად მოწესრიგებას.

გარდა ამისა, კავშირის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს სისტემატიურად შეისწავლოს საქართველოს სხვა კულტურული საჭიროებანი და ამისი შესაფერისი მუშაობა დაიწყოს ჩვენი ქვეყნის იმ მივარდნილ კუთხეებიდან, რომელნიც მოკლებულნი არიან არსებულ საგანმანათლებლო საზოგადოებათა მზრუნველობას. ასეთი კუთხეები არიან: სვანეთი, ხევსურეთი, სოხუმისა და ბათომის ოლქების ნაწილები და სხვ. ამ საქმის განსახორციელებლად გამგეობა მიიწვევს მცოდნე კაცებს, რომლებიც ამ ნიადაგზე მუშაობის სურვილს გამოსთქვამენ.

ზემო აღნიშნულ მიზნების განსახორციელებლად ნივთიერი საშუალებაა საჭირო და გამგეობას საჭიროდ მიაჩნია კავშირის ქონებრივ ღონისძიებათა გასაძლიერებლად: 1) გამოითხოვოს სათანადო წესით ნებართვა კერძო შემოწირულებათა მისაღებად და ყოველგვარ უძრავ-მოძრავ ქონებათა შეძენა-გაყიდვისა და 2) აგრეთვე აღძრას შუამდგომლობა, რომ კავშირს მიენიჭოს უფლება თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს მეფის ნაცვლის საბჭოში კავკასიის საერობო თანხის განაწილებაში მონაწილეობის მისაღებად.

## სოფლად

II

კახეთი

**22. სოფ. ძველი გავაზი ანუ ახალ სოფელი.** როგორც წინა წერილებში მოვიხსენიე, მღვ. დ. გიუნაშვილმა დამატარა სოფ. ძველი გავაზი და გამაცნო მისი შინაური ცხოვრება.

სოფ. ძველი გავაზი მდებარეობს თელავის მაზრაში, ალაზნის გაღმა, დაღესტნის მთების ძირში, რომელზედაც გზა მიდის ლეკებში და ავარის წყლის ხეობაში ჩადის.

ეს სოფელი 1854 წ. თბილ. გუბერნატორმა ანდრონკაშვილმა დაგეგმა, და ზედ დაასახლა სხვათა შორის ქართველი გლეხები. მამული სახაზინოა.

საფელს სიგრძე აქვს ორი ვერსი, სიგანე ვერს ნახევარი და გადაჭრილია ქუჩებით სიგრძე-სიგანეზედ.

ექვსი ქუჩა ლარივით სიგრძეზედ სერავს ამ სოფელს და სიგანეზედაც ამდენივე, ესე იგი, მთელი სოფელი თანაბრად, 36 უბნად არის დაყოფილი. ყოველ ქუჩაზედ ორთავე მხარეს წყლები ჩადის, ქვითკირის შენობებია ჩარიგებული თავის ბაღჩა-ვენახებით. დუქან-ბაზარია გამართული.

ძველი გავაზის მამულებს შეადგენს 4386 დ. 60 კ. ს., რომელიც იყოფა სხვა და სხვა ხარისხ მამულებად, ე. ი.

1. სამოსახ. ადგილებია 60 დ. 1200 კ. ს.
2. ვენახებია 380 დ. 630 კ. ს.
3. სახნავია და სხ. 2559 დ. 860 კ. ს.
4. ურწყავია 979 დ. 680 კ. ს.
5. საძოვარია 154 დ. 330 კ. ს.
6. ჩირგვნარია 91 დ. 590 კ. ს.
7. საწყლისპიროა 88 დ. 30 კ. ს.
8. ტყვარგისია 58 დ. 510 კ. ს.
9. ქუჩები და გზები 37 დ.
10. საეკლესიო და სასოფლოა 8 დ.

სულ 4386 დ. 360 კ. ს.

სოფ. ძველ გავაზში თავად-აზნაურნი და სასულიერო პირნი—8 კომლია, სომეხი 3 კომლია, დანარჩენი ქართველი გლეხები 787 კომლი.

—

ახალი სამამასახლისოების შეჯგუფების მიხედვით სოფ. ძველი გავაზი ითვლება 475 კომლით. ძველ გავაზის სამამასახლისოში შედის კიდევ სამი სოფელი: საცხენისი, ჰიკაანი და ახალი გავაზი.

ძველი გავაზის საზოგადოება სოფლის მოხელეების ხარჯს იხდის: მამასახლისისას—720 მან., მწერლისა—840 მან., მის თანაშემწეს—360 მან., კანცელარიის ხარჯია და სხვა—2025 მან., ძველი გავაზის ნაცვლისა და ფულის ამკრებისა—240 მან. აგრეთვე უნდა მივიდეთ ამაზედ სოფ. ჰიკაანის და ახალ გავაზის ნაცვლისა და ფულის ამკრების ხარჯებიც—480 მან. მაშასადამე, მთელი სულის მოხელეების ხარჯი შედგება 4665 მან.

მარტო ძველ გავაზს შეძლებისადაგვარად გამოაქვს სულ მოხელეებისათვის 3739 მან., მაშასადამე, ორთა შუა რიცხვით თითო კომლმა უნდა გამოიტანოს 4 მ. 75 კ.

დანარჩენ სამ სოფელში, საცხენისსა, ჰიკაანსა და ახალ გავაზში ითვლება 482 კომლი, ამათზედაც რომ თითო კომლზედ ვიანგარიშოთ 4 მ. 75 კ., მოხელეების ხარჯი შესდგება სულ 2289 მ. 50 კ., მთელ გავაზის სამამასახლისოს ხარჯი შეადგენს 6028 მ. 50 კ., გადასახადი კი 4665 მან., ზედმეტი მოდის 1363 მ. 50 კ.

არ შეიძლება, ძველი გავაზის საზოგადოებამ იცოდეს მომრიგებელ შუამავლისაგან ეს ზედ მეტი ფული სწორეა, ან სად ინახება, ან რაში იხარჯება?

—

ძველ გავაზში ორი სკოლა არსებობს—სამრევლო და სამინისტრო, სადაც 160 მოწაფე სწავლობს და მომეტებული წილი სკოლის გარეშე რჩება.

სოფ. საცხენეში კი მთავრობამ აუშენა შენობა სკოლისათვის, დახარჯა 4 ათასი მან., სკოლა კი მიკეტილია. ეს ჩაიდინა მხოლოთ იმიტომ, რომ საცხენესში 15 კომლი რუსი მოსახლეობს და 4 კომლი ქართველი.

სოფ. ძველ გავაზის ძველის ძველი რგვალი ეკლესია შესანიშნავია თავის ძველებურის გეგმით, გამშვენიერებულია მღვ. დ. გიუნაშვილისაგან და კანკელის სურათები წმ. ნინოს მონასტერშია დამზადებული.

—

ამ სოფელში წყლის სიუხვის გამო, რომელიც გამოყვანილია ავანას ხევის და შარათხევის წყლებიდგან, თვრამეტი წისქვილი მუშაობს, აგრეთვე სახერხი მაშინას ამუშავებს ბ-ნი ბაქრაძე.

აქაური მცხოვრებნი მისდევენ თამბაქოს მოყვანას და დიდ სარგებლობასაც ხედვენ.

ვნახე მათი თამბაქოს ჩარდახები, სადაც თამბაქოს ახმობენ. თამბაქოს ჩარდახის წინ 8—12 საჟენ სიგრძეზედ ხუთ ჩარექ სიმაღლეზედ ჩარიგებულია რამდენიმე მწკრივად წყვილ-წყვილად ოთხ არშინ სიგანეზედ ხის ოთხ კუთხიანი ხარიხები, ზედ აწყვია ოთხ კუთხიანი ოთხ არშინიანი ჩარჩოები, რომელზედაც თითო ნახევარ არშინზედ ჩარიგებულია ოთხ არშინიანი სარები და ზედ ძაფებით გადაკიდილია თამბაქოს რამდენიმე ახალ შეკრული ფოთლები და ამ ხარიხაზედ გაფენილია თამბაქო მზეზედ გასაშრობად. ავდრიან დღეში კი ოთხ არშინიან ჩარჩოებს გააცურებენ ამ ხარიხებზედ და ჩარდახში—შიგნით კი ისეა მომართული, სიმაღლეზედ აუყუდებენ და ზედიზედ ამ ჩარჩოებს დაკიდული თამბაქოს ფოთლებით მიალაგებენ ისე უცებ, რომ ავდარი ვეღარ ასწრობს დასველებას.

თითო დესეტინაში თამბაქოს მოყვანას მუდამდღე ოთხი კაცი მუშაობს, მოდის 100—120 ფუთი თამბაქო, ეხლა ფასობს ფუთი თამბაქო—30 მან.

ძველი გავაზი ისტორიული სახელია, მის მაგიერ „ახალი სოფელი“ დაარქვეს, როგორც ახალშენი—ვინა სთქვა რომ ქართველებს შნო არა აქვთ ახალი ცხოვრებისა? მიდით ნახეთ ახალშენი ძველი გავაზი და მაშინ იტყვით, რომ აქ ადამიანები ცხოვრებენ.

ძველ გავაზთან ერთად ვნახე ჩემი საქართველო—ეს თელავის მაზრა საქართველოს ზურმუხტის თვალი.

—

**23. მზის ამოსვლა ალაზნის ველზედ.** დილა ადრიან ავდექით მე და ჩემი ოჯახის უმფროსი, გავედით ერთ მაღლობ სერზედ და მზის ამოსვლას ვუცდიდით. ოჯახის უმფროსს ეუცხოვა ჩემი ასეთი დაჟინება მზის ამოსვლის ნახვისა, მეც დრო ვიხელთე და ვეშურები.

წყვდიადი თან და თან ჰქრება, სინათლე ცის ფერს იღებს, დაღესტნის მთების მოხაზულობა ირკვევა, ალაზნის ველს ზეწარივით თეთრი ნისლი დასწოლია.

ცის უსაზღვრო კამარას ლურჯი ფერი მისცემია. ცისკარი აღიონზედ ამოსულა, ობლად ციმციმებს. ცაზედ ვარსკვლავები ჰქრებიან, ცისკარს ცის სამყაროს უთმობენ.

ლურჯი ფერი ბაცდება, თან და თან ნათელს იღებს, ცისკარიც თავის ბრწყინვალე შუქს ჰკარგავს.

აღმოსავლეთის მხარეს, სადაც მზის ამომავალი ჰორიზონტია, ნათლდება, ცა ვარდისფრად იღებება.

უშველებელი სხივები მზისა, ჯერ უჩინარი, ისარივით ნატყორცნი ცის კაბადონზედ, მზეს გზას უკვლევენ.

და შორს, სადაც ცა და დედამიწა შეერთებულა, მთელი, აღმოსავლეთის ცისკიდური წითლდება, ჯერ მზე გარკვევით არა სჩანს, რაღაც უჩინარ ჰაერშია გახვეული.

დაღესტნის მთების მწვერვალნიც ოდნავ წითლდებიან და ყოველს წამს მწვერვალნი ფერადდებიან.

მთები თან და თან იღებება, საოცნებო სანახავს იღებს: ცხრა თვალი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ მზის ამოსვლასაც აღმოსავლეთისკენ თვალი ადევნოს, რომ დაღესტნის მთებზედაც სხივების ათასფრად მოძრაობა არ გამოეპაროს და მთებიდან სხივების ანასხლეტ შვიდ ფეროვან ჰაერით—ვით შადრევანი—დასტკბეს.

უჩინარი ჰაერი მზეს გადაეყარა და თვის ძლევა-მოსილობით ქვეყანა გაახარა.

და მზე—სისხლის ფერი, მზე დიდებული, ამომავალი, დაღესტნის მთები წითლად შეღება, ალაზნის ველი გააკაშკაშა და თეთრი ნისლი აამოძრავა.

და მზის სხივებმა, თბილმა ისრებმა არე-მარე შეაწრია და ძილად მთვლემარე ბუნება გამოაფხიზლა.

Legatus.

## დაბა-სოფლები

**ს. ბოდბის-ხევი.** (სიღნაღის მაზრა). დასახლებულია ეს სოფელი ქართველებით, რომლების რიცხვი აღემატება თითქმის 1,200 კომლს. აქაურები მისდევენ ხვნა-თესვას, მეხილეობას და მეთამბაქოობას.

ამ სოფელშია: წვრილ კრედიტის საზოგადოება, კოოპერატიული დუქანი, რომელსაც დიდი ნდობა აქვს დამსახურებული ახლო სოფლებში და თეატრი, სადაც დრო-გამოშვებით აქაური ინტელიგენცია ჰმართავს წარმოდგენებს. ამათ გარდა სოფელში არსებობს ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. უნდა ვსთქვა, რომ ეს სკოლა ვერ აკმაყოფილებს სოფლების მოთხოვნილებას. ენკენისთვეში მისაღებად მოიყვანეს თითქმის 200 ბავშვი, აქედან მიიღეს მარტო მეოთხედი.—ეხლაც, ყოველ დღე, მოდიან გლეხები, მოჰყავთ ბავშვები და ეხვეწებიან, რომ იმათი შვილებიც მიიღონ სკოლაში.

მაგრამ უადგილობის გამო ბრუნდებიან უკან გულ-დაწყვეტილები. კარგი იქნებოდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მიაქცევდეს ამას ყურადღებას და გახსნიდეს ბოდბის-ხევში სასწავლებელს, რადგან სწავლის წყურვილი ხალხში დიდია.

ვაჭრობის მხრივ ამ სოფელს უჭირავს შესამჩნევი ადგილი მთელს ქიზიყში, რადგან აქ ხვდებიან ერთმანეთს გზები სიღნაღისა, ლაგოდეხისა და მაჩხაანისა.

გორელი მოგზაური.

## ქ. ბაქო

ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა შაბათს 22 ოქტომბერს მეორე წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს პირველად ბაქოს ქართულ სცენაზე „გაზაფხულის ნიაღვარი“, თარგმანი ვ. გუნიასი. პიესა შინაარსიანია და გვიხატავს სულის კვეთებას ცხოვრებისაგან დაწიხლულ ადამიანისას. ითამაშეს პიესა კარგათ. მშვენიერი იყო ბორის პლახოვის როლში ბ. შალვა დადიანი, განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში: მისმა შეუდარებელმა თამაშმა ბევრს მაყურებელს ცრემლებიც მოგვარა. მიხეილ პლახოვის როლი შეასრულა ბ. ახობაძემ. ბ. ახობაძე გამოცდილი სცენის მოყვარეა და ნაკისრი როლი დიდის დაკვირვებით შეასრულა. ქ-ნ ნაკაშიძეს ვარინკას როლში ცოტა სიცოცხლე აკლდა. დანარჩენ მონაწილეთა შორის აღსანიშნავია ბ. პავლიაშვილი, რომელმაც თით ქმის უნაკლულოდ ჩაატარა მსახურ გრიგოლის როლი. სხვა მონაწილენი ხელს უწყობდენ საერთო ანსაბლს. ხალხი წარმოდგენას ნაკლებათ დაესწრო, რაიც ჩემის აზრით, აიხსნება პიესის უცოდინარეობით.

ა. განელი

## შემოწირულება

რედაქციას მოუვიდა 70 მანეთი ქ. თბილისში ვალ. ვ. ბერიძის ოჯახში შეგროვილი ქართველ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ.

სია შემომწირველთა:

დე[illegible] 3. და ფარსადანოვებმა [illegible] ივ. დ. წერეთელმა, [illegible] და ექიმმა დავ. [illegible] თითო თუმანი; ვარლამ გ. ბერიძემ თვრამეტი მან.; თავ. შალვა ფალავამ და ივ. მისენკომ ხუთ-ხუთი მან; ლადიკო დ. საყვარელიძემ, პლ. ლეჟავამ და ლევან გ. ბერიძემ სამ-სამი მან. სულ 70 მან.

—

რედაქციას მოუვიდა 16 მანეთი, ახალ კლუბში შეგროვილი ვახშმის დროს ქართველ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ.—შემომწირველთა სია: ს. დ. წერეთელი, ივ. დ. საყვარელიძე, ს. ერისთავი და გ. დარახველიძე.

სასურველია ამ კარგ მაგალითს მიმბაძველები აღმოუჩნდებოდნენ.

—

რედაქციამ გორიდან ნ. შიუკაშვილისაგან (ერთის ნაცნობის მიერ გადაცემული) მიიღო ვ. გუნიას სასარგებლოთ ხუთი თუმანი, რომელიც უკვე გადაეცა ავადმყოფს.

—

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობა ულრმეს მადლობას უძღვნის ალექსანდრე იასეს ძე ხუნვის, რომელმაც შემოსწირა ბათომის ქართულ სკოლას ორასი მანეთი (200 მან.) განსვენებული ძმის ლავრენტის ხუნვის აღსანიშნავად.

გამგეობის თავმჯდ. ექ. გრ. ელიავა.
მდივანი ა. ინწკირველი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

| | | | |
|---|---|---|---|
| **თბილისიდან გადის:** | | | |
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, 8 „ | 58 „ | დილ. |
| **თფილისში მოდის:** | | | |
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 6 „ | 24 „ | საღ. |

გამოვიდა და იყიდება

**პ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში**

(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ხ. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходьшимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.

(თ.—225—)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

**„განათლება“-ში**

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартκиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Тавартκиладзе.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეზველოვები**

მუშტაიდის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილი, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ზამშიანი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.